პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

12 დეკემბერი შაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 290 (14894)

# კ ა ნ ო ნ ი

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

# სსრკ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით.

მუხლი 2. დამტკიცდეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

| | (მატება პროცენტობით 1970 წელთან შედარებით) |
|---|---|
| მოხმარებისა და დაგროვებისათვის | |
| გათვალისწინებული ეროვნული შემოსავალი | 6,1 პროცენტი |
| მრეწველობის პროდუქცია | 6,9 პროცენტი |
| ა ქ ე დ ა ნ: | |
| წარმოების საშუალებათა წარმოება | 6,7 პროცენტი |
| მოხმარების საგნების წარმოება | 7,4 პროცენტი |
| სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი | 6,5 პროცენტი |
| ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა | 5,8 პროცენტი |
| ხელფასის ფონდი სახალხო მეურნეობაში | 5,2 პროცენტი |
| სამრეწველო საქმიანობის მოგება | 18 პროცენტი |

მუხლი 3. გადიდდეს 1971 წელს 1970 წელთან შედარებით:

| | |
|---|---|
| რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე | 4,7 პროცენტით |
| სახელმწიფო და კოოპერაციული | |
| ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა | 6,4 პროცენტით |
| მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება | 16,7 პროცენტით |
| სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების ხარჯზე საცხოვრებელი | |
| სახლების საერთო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა | 5,9 პროცენტით |
| ბავშვთა რიცხვი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ | |
| სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებში | 4 პროცენტით |
| მოსწავლეთა რიცხვი გახანგრძლივებული | |
| დღის სკოლებსა და ჯგუფებში | 5,8 პროცენტით |
| მოსწავლეთა მიღება უმაღლეს სასწავლებლებში | 0,8 პროცენტით |
| მოსწავლეთა მიღება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში | 3,7 პროცენტით |
| საავადმყოფო საწოლების რაოდენობა | 2,2 პროცენტით |

მუხლი 4. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო, მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის მუდმივი კომისიების დასკვნებში, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1970 წ. 10 დეკემბერი.

# კ ა ნ ო ნ ი

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

# სსრ კავშირის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების მოხსენებათა მიხედვით მიღებული ცვლილებებით, სახელდობრ სულ შემოსავლის ნაწილში 160.971.463 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 160.770.966 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 200.497 ათასი მანეთის გადამეტებით.

მუხლი 2. დაწესდეს სსრ კავშირის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, საწარმოო ფონდების საფასური, ფიქსირებული გადასახდელები, მოგების თავისუფალი ნაშთი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავალი სოციალისტური მეურნეობისაგან — 146.109.127 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს სსრ კავშირის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — მძიმე მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 77.029.349 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 4. დაწესდეს სსრ კავშირის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობისა და განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმებისა და ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისათვის — სულ 58.522.321 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით — 18.489.460 ათასი მანეთი.

მუხლი 5. დაწესდეს სსრ კავშირის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი ქვეყნის თავდაცვისათვის 17.854.000 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დაწესდეს სსრ კავშირის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების შესანახად 1.717.941 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 7. დამტკიცდეს 1971 წლის საკავშირო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 88.927.991 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 88.727.494 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 200.497 ათასი მანეთის გადამეტებით.

მუხლი 8. დაწესდეს მოკავშირე რესპუბლიკების 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტები შემოსავლისა და გასავლის ნაწილში 72.043.472 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით:

| | (ათასი მანეთი) |
|---|---|
| რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა | 39.227.641 |
| უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 12.309.968 |
| ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 3.062.895 |
| უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 2.929.821 |
| ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 4.914.920 |
| საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.326.409 |
| აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.326.253 |
| ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.412.105 |
| მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 881.978 |
| ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 960.999 |
| ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 858.428 |
| ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 768.708 |
| სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 890.039 |
| თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 584.062 |
| ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 639.266 |

მუხლი 9. დამტკიცდეს 1971 წლისათვის საერთო საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხები მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) ბრუნვის გადასახადი შემოსავლიდან: რუსეთის სფსრ — 36,8 პროცენტი, უკრაინის სსრ — 32,6 პროცენტი, ბელორუსიის სსრ — 67,2 პროცენტი, უზბეკეთის სსრ — 95,8 პროცენტი, ყაზახეთის სსრ — 100 პროცენტი, საქართველოს სსრ — 78,5 პროცენტი, აზერბაიჯანის სსრ — 91,6 პროცენტი, ლიტვის სსრ — 87,5 პროცენტი, მოლდავეთის სსრ — 37,3 პროცენტი, ლატვიის სსრ — 33,2 პროცენტი, ყირგიზეთის სსრ — 88,5 პროცენტი, ტაჯიკეთის სსრ — 100 პროცენტი, სომხეთის სსრ — 93,5 პროცენტი, თურქმენეთის სსრ — 97 პროცენტი, ესტონეთის სსრ — 41,9 პროცენტი;

ბ) 1971 წლის სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის გავრცელების თანხიდან — 50 პროცენტი;

გ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან უზბეკეთის სსრ და თურქმენეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტებში — 100 პროცენტი;

1971 წელს საკავშირო ბიუჯეტის სახსრებიდან გამოეყოს ყაზახეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს 417.887 ათასი მანეთი და ტაჯიკეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს 38.685 ათასი მანეთი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 10. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს სსრ კავშირის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო, მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის მუდმივი კომისიების დასკვნებში, აგრეთვე დეპუტატთა წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც გამოითქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე, და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1970 წ. 10 დეკემბერი.

# დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

# სსრ კავშირის 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სსრ კავშირის 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 140.032.994 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 138.530.688 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 1.502.306 ათასი მანეთის გადამეტებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1970 წ. 10 დეკემბერი.

## საქდესის ცნობა

# „ლუნოხოდ-1“ აპარატმა დაიწყო მთვარის მეორე დღის პროგრამის შესრულება



1970 წლის 8 დეკემბერს მთვარეზე წვიმების ზღვის რაიონში დადგა მთვარის დღე და „ლუნოხოდ-1“ ავტომატურმა აპარატმა დაიწყო აქტიური მუშაობის ახალი ეტაპი.

მანამდე მთვარის ღამის დროს, რომელიც 24 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე გრძელდებოდა, „ლუნოხოდ-1“ თვითმავალი აპარატი არ მოძრაობდა, მაგრამ მის ხელსაწყოთა ნაკვეთურში მოთავსებული ხელსაწყოები და სისტემები განაგრძობდნენ ფუნქციონირებას. ამ ხნის განმავლობაში ავტომატურ აპარატთან მოეწყო რადიოკავშირის ორი სეანსი, რომლის დროსაც მიღებულია ტელემეტრიული ინფორმაცია, რომელიც მოწმობს მისი ყველა სისტემის ნორმალურ რეჟიმებს, მდგომარეობასა და ფუნქციონირებას.

მთვარის ზედაპირზე მინუს 130 გრადუსზე, დაბალი ტემპერატურის დროს ცელსიუსით მთვარემავლის ხელსაწყოთა ნაკვეთურში მცირეოდენი მერყეობით შენარჩუნებული იყო დაახლოებით პლუს 15 გრადუსი ცელსიუსით. გათვალისწინებული ტემპერატურული რეჟიმის შენარჩუნებას უზრუნველყოფდა სითბოს სპეციალური იზოტოპური წყარო, რომელიც ახურებდა მთვარემავლის კორპუსში არსებულ გაზს.

ამრიგად, საბჭოთა ავტომატურმა აპარატმა წარმატებით შეასრულა მთვარის ღამის პროგრამა კოსმოსური ვაკუუმისა და დაბალი ტემპერატურების პირობებში.

5 და 6 დეკემბერს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ყირიმის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში განხორციელდა ექსპერიმენტები მთვარემავლის დგომის რაიონში მთვარის ზედაპირის ლაზერული ლოკაციისათვის. დედამიწისზედა აპარატურამ მთვარისაკენ გაგზავნა და აღრიცხა ზუსტი არეკლილი სიგნალები მთვარემავალზე დადგმული ლაზერული ამრეკლავისა, რომელიც დამზადებულია ფრანგ სპეციალისტთა მიერ.

1970 წლის 9 დეკემბერს „ლუნოხოდ-1“ ავტომატურ აპარატთან მოეწყო რადიოკავშირის სეანსი, რომელიც დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა. სეანსის დროს სრულდებოდა ოპერაციები მუშაობის ახალი ეტაპისათვის მოსამზადებლად. მზის ბატარია გაიხსნა და დადგა მზის მიმართ ისეთ მდგომარეობაში, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურად დამუხტული დენის მიღებას აკუმულატორის ბატარიაში ელექტროენერგიის მარაგის შესავსებად.

ტელეფოტომეტრების საშუალებით დედამიწაზე გადმოიცა თვითმავალი აპარატის დგომის ადგილზე მთვარის ზედაპირის პანორამები, აგრეთვე მთვარის ჰორიზონტზე ამომავალი მზის გამოსახულება.

1970 წლის 10 დეკემბერს მორიგი სეანსის დროს შორი კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრიდან მიცემული კომანდის შესაბამისად დაიწყო მთვარემავლის მოძრაობა. მთვარის ზედაპირზე გადაადგილების მსვლელობაში აპარატი აგრეთვე რამდენჯერმე შემობრუნდა. სატელევიზიო სისტემებმა დედამიწაზე გადმოსცეს მთვარის ლანდშაფტის ზუსტი გამოსახულებანი.

კვლევის პროგრამაში შედიოდა აგრეთვე მთვარის გრუნტის მექანიკურ თვისებათა შეფასება.

სეანსის მსვლელობაში მიღებულია საჭირო ტელემეტრიული მონაცემები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ მთვარემავლის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობენ.

შორი კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრი განაგრძობს მთვარემავლის მართვას. მეცნიერული კვლევისა და ექსპერიმენტების დასახული პროგრამა წარმატებით სრულდება.

# მთვარემავალმა განუწყვეტლივ იმუშავა 9 საათს

**11 დეკემბერს** საქდესის კორესპონდენტმა შორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრიდან გვაცნობა:

გუშინ საღამოს, 16 საათზე მოსკოვის დროით, დაიწყო „ლუნოხოდ-1“ ავტომატური აპარატის რადიომართვის მორიგი სეანსი. სეანსის დროს, რომელმაც ცხრა საათს გასტანა, მთვარის ღამის შემდეგ მთვარემავალი პირველად ამოძრავდა. იგი მოძრაობდა დასერილ ზედაპირზე ჯერ სამხრეთ-აღმოსავლეთის, შემდეგ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ავტომატური აპარატის მოძრაობის ტრასა გადიოდა ცალკეულ ქვებსა და ღრმულებს შორის. ეკიპაჟის მართვით მთვარემავალი ასრულებდა მანევრებს, გვერდს უვლიდა მთვარის ბუნებრივ დაბრკოლებებს.

მთვარემავალი მოძრაობის გზაზე შეხვდა 16 მეტრი დიამეტრისა და 2 მეტრამდე სიღრმის კრატერს. თვითმავალი აპარატი ჩავიდა კრატერში, შემდეგ ამოვიდა მის ფერდობზე და გავიდა სწორ ზედაპირზე. კრატერის გავლის დროს მთვარემავლის დახრილობა 27 გრადუსს აღწევდა, დიფერენტი კი 17 გრადუსს. მოძრაობის პირველი სეანსის განმავლობაში გავლილია 244 მეტრი.

მთვარემავლის ხანმოკლე შეჩერების დროს მიმდინარეობდა გრუნტის მექანიკურ თვისებათა კვლევა.

ტექნიკური ხელმძღვანელობის აზრით, მთვარის ხანგრძლივი ღამის მკაცრმა პირობებმა გავლენა ვერ მოახდინეს „ლუნოხოდ-1“ ავტომატური აპარატის მანევრულ მახასიათებლებსა და შრომისუნარიანობაზე. (საქდესი).

●

## „ლუნოხოდ-1“ კვლავ ამოძრავდა





ფრაგმენტი პანორამული ფოტოსურათისა, რომელიც 9 დეკემბერს საღამოს შეასრულა „ლუნოხოდ-1“-ის ტელეფოტომეტრის მარჯვენა კამერამ.

ფოტოსურათზე (ზემოთ) მკაფიოდ ჩანს „ლუნოხოდის“ თვლების ნაკვალევი. იგი გადაიღო „ლუნოხოდ-1“-ის ტელეფოტომეტრმა მზის ამოსვლიდან ცოტა ხნის შემდეგ. ამას მოწმობს მთვარის ზედაპირის უსწორმასწორობით არეკლილი გრძელი ჩრდილები და მანქანის თვლებით გრუნტზე აღბეჭდილი რელიეფი. სურათზე მოჩანს „ლუნოხოდის“ მანძილის ანტენა და თვლები; ქვემოთ — „ლუნოხოდის“ ერთ-ერთი ნაწილი.

საქდესის ფოტოქრონიკა.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია

# საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის

**10 დეკემბერს** 15 საათზე კრემლის დიდ სასახლეში დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, გ. ი. ვორონოვს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, პ. ე. შელესტს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, პ. ნ. დემიჩევს, პ. მ. მაშეროვს, ვ. პ. მჟავანაძეს, შ. რ. რაშიდოვს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ი. ვ. კაპიტონოვს, კ. თ. კატუშევს, თ. დ. კულაკოვს, მ. ს. სოლომენცევს, რომლებიც ლოჟებში შემოვიდნენ.

დარბაზში იყო მრავალი სტუმარი — დედაქალაქისა და მოსკოვის ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები. ლოჟებში — უცხოელი დიპლომატები, საბჭოთა და საზღვარგარეთელი ჟურნალისტები.

სხდომა გახსნა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ა. პ. შიტიკოვმა.**

დეპუტატებმა და სტუმრებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს 9 დეკემბერს გარდაცვლილი დეპუტატის ა. ი. მიქოიანის — თვითმფრინავების გამოჩენილი კონსტრუქტორის ხსოვნას.

შემდეგ საბოლოო სიტყვა დღის წესრიგის პირველ პუნქტზე — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ნ. კ. ბაიბაკოვმა.** მან აღნიშნა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმა სავსებით მოწონებულია საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების დასკვნებში და დეპუტატთა გამოსვლებში კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს სხდომებზე.

1971 წლის გეგმის განხილვის დროს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივ კომისიებში, ამ კომისიათა თანამოხსენებებსა და დეპუტატთა გამოსვლებში წამოყენებული იყო მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი წინადადებანი დიდი რეზერვების უფრო სრულად გამოყენებისათვის, რომლებიც აქვს სახალხო მეურნეობას, რათა უფრო სწრაფად და უკეთ შესრულდეს სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებანი.

საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივმა კომისიებმა შემოიტანეს წინადადება გადიდდეს სახალხო მოხმარების ცალკეულ საქონლის წარმოების მოცულობა და რეალიზაცია 126 მილიონი მანეთის საერთო თანხის (საცალო ფასებში) ოდენობით და დამატებითი სახსრები გამოიყოს რაიონული ცენტრების, რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა და მუშათა დაბების კეთილმოწყობისათვის, საავადმყოფოების, სკოლებისა და სხვა სოციალურ-კულტურული დაწესებულებების ინვენტარის, მოწყობილობის შეძენისათვის, აგრეთვე მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა მიზნისათვის. გარდა ამისა, შემოტანილია წინადადება ნება დაერთოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს საბინაო მშენებლობის გადიდებისათვის გამოიყენონ 80 მილიონი მანეთი მთლიანად რესპუბლიკის ტერიტორიაზე კაპიტალდაბანდებათა საერთო თანხის ხარჯზე.

ორატორმა განაცხადა, რომ ყველა ეს წინადადება მთავრობამ მიიღო და სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებებში შეტანილი იქნება შესაბამისი დაზუსტებანი.

ბევრმა დეპუტატმა, თქვა შემდეგ ორატორმა, შემოიტანა წინადადებანი საწარმოო ძალების უფრო რაციონალური განაწილების, აგრეთვე ახალი საწარმოებისა და საწარმოო ობიექტების დამატებითი მშენებლობისა და ამ მიზნებისათვის კაპიტალური დაბანდებებისა და მატერიალური რესურსების გამოყოფის შესახებ. ამ წინადადებებს ყოველმხრივ დავამუშავებთ 1971–1975 წლების ხუთწლიანი გეგმის პროექტთან ერთად, რომელსაც ამჟამად ამუშავებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით.

ნ. კ. ბაიბაკოვი მოკლედ შეეხო ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომლებიც აღიძრა ამ სესიაზე 1971 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტის განხილვისას.

დეპუტატებმა ამხანაგებმა გერასიმოვმა, სუიუმბაევმა, როზენკომ, ლუტაკმა, ყურბანოვმა, ჯავახიშვილმა და სხვებმა შემოიტანეს წინადადებანი სახალხო მეურნეობის საქონლის წარმოების შემდგომი განვითარების შესახებ, კერძოდ, საწარმოთა რეკონსტრუქციისა და თანამედროვე ტექნიკურ ბაზაზე ადგილობრივი მრეწველობის განვითარების გზით.

1971 წლის გეგმით გათვალისწინებულია კაპიტალურ დაბანდებათა მნიშვნელოვანი ზრდა სახალხო მეურნეობის საქონლის საწარმოთა მშენებლობაში, და, კერძოდ, მსუბუქი მრეწველობის განვითარებისათვის 18 პროცენტით უნდა გადიდდეს კაპიტალური დაბანდება. ამიტომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამრეწველო და სამშენებლო სამინისტროების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მთლიანად აითვისონ გამოყოფილი სახსრები. რაც შეეხება დეპუტატთა წინადადებებს ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისათვის კაპიტალდაბანდებათა შემდგომი გადიდების შესახებ, ამ წინადადებებს დამატებით განვიხილავთ.

დეპუტატებმა იბრაგიმოვმა, ბოჭორიძემ და სხვებმა აღძრეს საკითხი, რომ 1971 წელს გაიზარდოს კაპიტალურდაბანდებათა მოცულობა საბინაო და კომუნალური მშენებლობისათვის.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ 1971 წლის გეგმის შემუშავებისას ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე 1971 წელს აშენდება მიმდინარე წელთან შედარებით დაახლოებით 6 პროცენტით მეტი საცხოვრებელი ფართობი, ხოლო დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით საცხოვრებელი ფართობი გაიზრდება 11 პროცენტით. სახელმწიფო კაპიტალდაბანდება კომუნალურ მშენებლობაში გაიზრდება 6,3 პროცენტით. საჭიროა, თქვა ნ. კ. ბაიბაკოვმა, ვიზრუნოთ ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების უფრო ათვისებისათვის. მიმდინარე წელს ბევრ მოკავშირე რესპუბლიკაში მთლიანად ვერ სრულდება საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალებანი. მაგალითად, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკასა და საქართველოს სს რესპუბლიკაში საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმა მიმდინარე წლის 10 თვის მანძილზე მხოლოდ 50 პროცენტით შესრულდა.

დეპუტატ სტენკოს აწუხებს დნეპროპეტროვსკის კარლ ლიბკნეხტის სახელობის მილსაგლინავი ქარხნის ფოლადის ზოდებით უზრუნველყოფის საკითხი. მან აღძრა საკითხი ამ ქარხანაში მოქმედი მარტენის საამქროს რეკონსტრუქციის შესახებ. არსებული გამოანგარიშებით, 1971 წლისათვის ქარხანა უზრუნველყოფილია საკუთარი წარმოების ფოლადის ზოდებით, მილებისა და თვლების წარმოების შემდგომ განვითარებას ამ ქარხანაში უზრუნველყოფს სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრო სხვა საწარმოებიდან კოოპერაციით ამ ქარხნისათვის ფოლადის ზოდების მიწოდების გზით. რაც შეეხება მოქმედი მარტენის საამქროს რეკონსტრუქციას, ამ საკითხს განვიხილავთ ხუთწლიანი გეგმის შემუშავების დროს.

დეპუტატი ჩორნი თავის გამოსვლაში შეეხო შორეული აღმოსავლეთის რაიონის საწარმოო ძალების განვითარების დაჩქარების დიდმნიშვნელოვან საკითხს, თქვა ნ. კ. ბაიბაკოვმა. როგორც ვიცით, ჩვენს ქვეყანაში თანამიმდევრულად ხორციელდება პარტიის მიერ მიღებული კურსი — ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების დაჩქარებული განვითარების კურსი. ხუთწლეულის მანძილზე შორეული აღმოსავლეთის სახალხო მეურნეობას მოხმარდა 12,5 მილიარდი მანეთი სახელმწიფო კაპიტალდაბანდებანი, რის შედეგადაც მწყობრში ჩადგა 60-ზე მეტი მსხვილი საწარმო და საწარმოო ობიექტი, შეიქმნა საჭირო [illegible] დიდძალი საწარმოების მშენებლობანი, რომლებიც მწყობრში ჩადგებიან ახალ ხუთწლედში. ამასთან, შორეული აღმოსავლეთისა და ჩიტის ოლქის განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში გათვალისწინებული მთელი რიგი დავალებანი ჯერ კიდევ ერთგვარი ჩამორჩენით სრულდება, რაც სამართლიანად აღინიშნა დეპუტატ ჩორნის გამოსვლაში.

სამინისტროებმა და უწყებებმა, და განსაკუთრებით სამშენებლო სამინისტროებმა, თქვა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ, უნდა განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად. თავის მხრივ სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტი გააძლიერებს კონტროლს ამ საქმისადმი. აღნიშნული დადგენილების შესრულების და ახალ ხუთწლედში შორეული აღმოსავლეთის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების საკითხს უახლოეს დღეებში განიხილავენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში.

დეპუტატები ყურბანოვი, ლუტკიაინენკო, კისელიოვი, ბანიკოვი, გუსტოვი და სხვები თავიანთ გამოსვლებში შეეხნენ საკითხებს ხუთწლედის პირველ წლებისათვის სოფლის მეურნეობის განსავითარებლად კაპიტალური დაბანდებების დადგენილ მოცულობათა გადიდების შესახებ, აგრეთვე მეცხოველეობასა და მემინდვრეობაში სამუშაოთა მექანიზაციისათვის მინერალური სასუქების, ტექნიკის მიწოდების გადიდების შესახებ.

ნ. კ. ბაიბაკოვმა დეპუტატებს მოახსენა, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მიიღეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დადგენილებანი, კერძოდ, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა შესახებ და 1971-1975 წლებში ტრაქტორებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, სატრანსპორტო საშუალებებით, მისათხრელი ტექნიკითა და მინერალური სასუქებით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის შესახებ. 1971 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა შემუშავებულია ამ გადაწყვეტილებათა შესაბამისად. გარდა ამისა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სამინისტროები და უწყებები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის დავალებების შესაბამისად 1971 წლის გეგმის რეალიზაციის მსვლელობაში გამონახავენ დამატებითს რესურსებს სოფლის მეურნეობისათვის.

დეპუტატებმა შეშტაკაუსკენემ, სიზოვმა, ვადერმა, აგრეთვე სხვა დეპუტატებმა თავიანთ გამოსვლებში აღძრეს საკითხი საშენ მასალათა მრეწველობის განვითარებისა და სამშენებლო ორგანიზაციათა ბაზის განვითარების ტემპის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით ნ. კ. ბაიბაკოვმა აღნიშნა, რომ მიმდინარე ხუთწლეულში უზრუნველყოფილი იქნება საშენ მასალათა მრეწველობის ერთგვარი უპირატესი განვითარება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ზრდასთან შედარებით. საშენ მასალათა წარმოება ხუთწლედის მანძილზე 45 პროცენტით გაიზრდება. ამასთან, თქვა ორატორმა, საშენ მასალათა წარმოების ზრდის ტემპი უფრო სწრაფი შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ აღმოფხვრილი იქნებოდა არსებითი ნაკლოვანებანი მრეწველობის ამ დარგის საწარმოთა მშენებლობაში. იმის გამო, რომ ვერ შესრულდა საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების, დიდი ხვედრითი კაპიტალდაბანდებების გამოყენების გეგმით დადგენილი დავალებანი, მიმდინარე ხუთწლედში მთლიანად ვერ მივაღწევთ ცემენტის, რბილი სახურავი მასალებისა და ზოგიერთ სხვა საწარმოო სიმძლავრეებს.

ამოცანა ის არის, რომ 1971 წელს და შემდგომ წლებში უზრუნველვყოთ მრეწველობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის სიმძლავრეთა განვითარების გათვალისწინებულ დავალებათა უთუო შესრულება. ამასთან სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ უნდა განახორციელოს ღონისძიებანი არსებული საწარმოო რეზერვების უფრო სრულად გამოყენებისათვის, საჭიროა აგრეთვე დავაჩქაროთ ადგილობრივ საშენ მასალათა წარმოების განვითარება.

რაც შეეხება სამშენებლო ორგანიზაციათა ბაზის განვითარებას, თქვა შემდეგ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ, მიმდინარე ხუთწლიანი გეგმის შესრულების პროცესში ხორციელდებოდა მისი დაჩქარების დამატებითი ღონისძიებანი. და, კერძოდ, სახელმწიფო კაპიტალურმა დაბანდებებმა ამ მიზნებისათვის 2,5 მილიარდი მანეთით და უფრო მეტად გადააჭარბეს წლიური გეგმებით გათვალისწინებულ მოცულობებს ხუთწლეულის მანძილზე. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სამშენებლო ორგანიზაციათა ბაზის განვითარებას 1971 წლის გეგმაშიც. ამ მიზნებისათვის გამოყოფილია 2,6 მილიარდ მანეთზე მეტი სახელმწიფო კაპიტალდაბანდებანი. გარდა ამისა, სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ბაზის განსამტკიცებლად მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მინიჭებული აქვთ უფლება ამ მიზნებისათვის გამოიყენონ იმ საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის დაახლოებით 3 პროცენტი, რომლებსაც ასრულებენ ამ სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციები. ამ სახსრების ეფექტიანი გამოყენება საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად განვამტკიცოთ სამშენებლო ორგანიზაციათა მატერიალური ბაზა და უზრუნველვყოთ კაპიტალურ დაბანდებათა დასახული მოცულობის შესრულება.

დეპუტატები იბრაგიმოვი, მურავლენკო, კაიროსი, გაპუროვი, პასკარი და სხვები სავსებით სწორად აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა დაჩქარდეს რკინიგზის ტრანსპორტის განვითარება, თქვა ნ. კ. ბაიბაკოვმა. კაპიტალური დაბანდება რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებისათვის, თქვა მან, გაიზრდება დაახლოებით 11 პროცენტით, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 17 პროცენტით და უფრო მეტად. სატვირთო ვაგონების მიწოდება გაიზრდება 8 პროცენტით და უფრო მეტად. რკინიგზის ტრანსპორტის ვაგონებით უკეთ უზრუნველყოფისათვის განხორციელდა კადიევისა და აბაკანის ვაგონსამშენებლო ქარხნების მშენებლობის დაჩქარების ღონისძიებანი.

დეპუტატები მუსახანოვი, აშიმოვი და სხვები თავიანთ გამოსვლებში ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ სახალხო მეურნეობაში არის ბევრი რეზერვი, კერძოდ, ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს, არის საწარმოები, რომლებიც ვერ ასრულებენ გეგმებს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გეგმის შემუშავების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არსებული რეზერვების გამოყენებას და საგეგმო დავალებანი განსაზღვრულია ამის გათვალისწინებით. ამასთან სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უნდა განაგრძონ მუშაობა საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების გამოყენების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ნედლეულისა და მასალების უფრო მომჭირნედ გამოყენებისათვის, ფინანსური და შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესებისათვის, რათა ამის საფუძველზე მივიღოთ დამატებითი პროდუქცია და მოვახმაროთ იგი სახალხო მეურნეობის უპირველეს საჭიროებებს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, თქვა მან შემდეგ, ამ საკითხების გადაჭრაში შრომის დისციპლინის ამაღლების დიდი როლი საწარმოში, რაზეც სავსებით სწორად ილაპარაკა დეპუტატმა სტენკომ.

ამ სესიაზე, თქვა ნ. კ. ბაიბაკოვმა, შემოტანილია წინადადებანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებზეც. ბევრმა დეპუტატმა გამოთქვა აგრეთვე მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები ცალკეული სამინისტროების, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და ორგანიზაციების მისამართით. ორატორმა განაცხადა, რომ 1971 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის გამო ყველა წინადადებასა და შენიშვნას, რომლებიც შეიტანეს ორივე პალატის საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივმა კომისიებმა, აგრეთვე დეპუტატების მიერ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს, მიღებულ შეკითხვებს განვიხილავთ და მათ შესახებ მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებებს. მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ დეპუტატებს დამატებით მოვახსენებთ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამ სესიაზე 1971 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის განხილვა, თქვა დასასრულ ნ. კ. ბაიბაკოვმა, მიმდინარეობდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემების ყურადღებით და კრიტიკულად ბჭობის ვითარებაში. სესიის ყველა მონაწილემ თავის გამოსვლებში ცხადყო დიდი მისწრაფება — გამონახონ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, როგორც ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების დაჩქარების გადამწყვეტი ფაქტორების, ამოცანათა განხორციელების საუკეთესო გზები. ეჭვი არ გვეპარება, რომ საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მთელ თავის შემოქმედებითს ძალებსა და ცოდნას გამოიყენებს, რათა უზრუნველყოს 1971 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

დეპუტატებმა ცალ-ცალკე კენჭისყრით პალატებში ერთსულოვნად, ტაშის გრიალში მიიღეს კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

კანონში მოწონებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით. დამტკიცებულია ამ გეგმის ძირითადი მაჩვენებლები.

ეროვნული შემოსავალი, რომელსაც ვიყენებთ მოხმარებისა და დაგროვებისათვის 1971 წელს, 1970 წელთან შედარებით გაიზრდება 6,1 პროცენტით, სამრეწველო პროდუქცია — 6,9 პროცენტით, აქედან: წარმოების საშუალებათა წარმოება — 6,7 პროცენტით, მოხმარების საგნების წარმოება — 7,4 პროცენტით.

მომავალ წელს რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გადიდდება 4,7 პროცენტით, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა — 6,4 პროცენტით. სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა გაიზრდება 5,9 პროცენტით.

საბოლოო სიტყვა დღის წესრიგის მეორე საკითხზე—„სსრ კავშირის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება“ — წარმოთქვა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა **ვ. თ. გარბუზოვმა.**

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, თქვა მან, გულდასმით განიხილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივმა კომისიებმა და მასზე ყოველმხრივ იმსჯელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე.

პალატების კომისიების დასკვნებსა და უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი სავსებით შეესაბამება კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს, რომლებიც პარტიის XXIII ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა დასახეს. ბიუჯეტი შედგენილია 1971 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის საფუძველზე და უზრუნველყოფს საჭირო საშუალებებით სოციალისტური ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

დეპუტატებმა გერასიმოვმა და როზენკომ ეროვნებათა საბჭოსა და კავშირის საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების სახელით და ყველა გამოსულმა დეპუტატმა სავსებით მოიწონეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი.

პალატების კომისიების მიერ შემოტანილი წინადადებანი ითვალისწინებენ ბიუჯეტის შემოსავლის გადიდებას 154,5 მილიონი მანეთის ოდენობით, აქედან ბრუნვის გადასახადისა — 90,8 მილიონი მანეთით, და მოგების გადასახდელებისა — 43 მილიონი მანეთით, ძირითადად სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების საგეგმო დავალებათა გადიდების გზით. გარდა ამისა, წინადადებაა გადიდდეს მოსაკრებელთა და სხვადასხვა არასაგადასახადო შემოსავლის შემოსულობანი 20,7 მილიონი მანეთით.

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივმა კომისიებმა წინადადება წამოაყენეს დამატებითი გამოვლინებული რესურსები 154,5 მილიონი მანეთის ოდენობით გამოიყენონ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების შუამდგომლობათა გათვალისწინებით. რაიონული ცენტრების, რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა და მუშათა დაბების კეთილმოწყობას მოხმარდეს 52 მილიონი მანეთი, საავადმყოფოების, სკოლებისა და სხვა სოციალურ-კულტურული დაწესებულებებისათვის ინვენტარის, მოწყობილობის შეძენას — 30,3 მილიონი მანეთი, სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო და სხვა სოციალურ-კულტურული დაწესებულებების რემონტს — 30 მილიონი მანეთი, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებისათვის ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენას — 5 მილიონი მანეთი, საავადმყოფოების სათავსოების მოწყობასა და რეკონსტრუქციას — 12,7 მილიონი მანეთი, სასოფლო და სადაბო საბჭოების შენობების რემონტსა და მათთვის ავეჯის შეძენას — 24,5 მილიონი მანეთი.

ეს ასიგნებანი შეესაბამებიან მოკავშირე რესპუბლიკებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების როლის შემდგომი ამაღლების ამოცანებს მოსახლეობის სოციალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დარგში.

დავალებული მაქვს მოგახსენოთ, განაგრძო ვ. თ. გარბუზოვმა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილა აღნიშნული წინადადებანი და მათი მიღება შესაძლებლად მიაჩნია.

დეპუტატმა იმაშევმა წამოაყენა საკითხი 1971 წელს საბიუჯეტო ასიგნებათა გადიდების შესახებ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განვითარებისათვის. დეპუტატებმა ლუტაკმა, ჯავახიშვილმა, პასკარმა შემოიტანეს წინადადებანი, რომ დამატებითი ასიგნებანი გამოიყოს ქალაქებისა და რაიონული, სასოფლო ცენტრების კეთილმოწყობისათვის, საბინაო ფონდისა და სოციალურ-კულტურული დაწესებულებების კაპიტალური რემონტისათვის, მათთვის ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენისათვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის.

ეს საკითხები ძირითადად აისახა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების წინადადებებში სსრ კავშირის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამატებით გამოვლინებული რესურსების გამოყენების შესახებ.

საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ხარჯები შეიძლება გაწიოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების სარეზერვო ფონდების, აგრეთვე იმ შემოსავლის ხარჯზე, რომლებიც გამოვლინებული და მიღებულია მოკავშირე რესპუბლიკებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახელმწიფო ბიუჯეტების შესრულების დროს.

უმაღლესი საბჭოს პალატების საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების დასკვნებსა და დეპუტატთა გამოსვლებში სავსებით სწორად აღინიშნა, რომ სამინისტროებმა, უწყებებმა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ, თუ რამდენად სწორად და ეფექტიანად იყენებენ მატერიალურ შრომასა და ფინანსურ რესურსებს ცალკეული საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი. ბანკების საფინანსო ორგანოები და დაწესებულებანი თავის მხრივ განახორციელებენ კონტროლს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი, სახელმწიფო საგეგმო და საფინანსო დისციპლინის დაცვისადმი.

მთელმა რიგმა დეპუტატებმა წამოაყენეს აგრეთვე ზოგიერთი საკითხი, რომლებიც უკავშირდება საწარმოებისა და ორგანიზაციების ეკონომიკის შემდგომ განვითარებასა და სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის გაუმჯობესებას.

სსრ კავშირის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს ყველა შემოსულ საკითხს გულდასმით განიხილავს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო და მოახსენებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ დეპუტატებს თავის დროს ვაცნობებთ.

მთელი საბჭოთა ხალხი, თქვა დასასრულ მინისტრმა, მხურვალედ იწონებს და ერთსულოვნად უჭერს მხარს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

1971 წლის მარტის დამლევს გაიმართება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა. საბჭოთა ადამიანები დიდი აღფრთოვანებით ემზადებიან ამ ღირსშესანიშნავი თარიღის შესახვედრად, ასრულებენ დამატებით ვალდებულებებს [illegible] წლის პირველი [illegible] საგეგმო დავალებათა [illegible] შესრულებისათვის.

1971 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის წარმატებით მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება ახალი დიდი წვლილი იქნება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიდებული პროგრამის განხორციელებაში.

დეპუტატებმა პალატებში ცალ-ცალკე კენჭისყრით ერთხმად მიიღეს კანონი სსრ კავშირის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების მოხსენებათა გამო მიღებული ცვლილებებით, სახელდობრ: შემოსავლის ნაწილში სულ 160.971.463 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 160.770.966 ათასი მანეთი, გასავალზე შემოსავლის 200.497 ათასი მანეთის გადამეტებით.

მომავალ წელს ხარჯები სახალხო მეურნეობის დაფინანსებისათვის — მძიმე მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის შეადგენენ 77.029.349 ათას მანეთს; ასიგნებანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — 58.522.321 ათას მანეთს, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით—18.489.460 ათას მანეთს.

1971 წელს ასიგნებანი ქვეყნის თავდაცვისათვის შეადგენენ 17.854.000 ათას მანეთს.

კანონით დადგენილია მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაავალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს ის წინადადებანი და შენიშვნები, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გამო, რომლებიც ჩამოყალიბებულია კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მუდმივ კომისიათა დასკვნებში, აგრეთვე დეპუტატთა წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც გამოითქვა პალატების სხდომებზე, და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 140.032.994 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 138.530.688 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 1.502.306 ათასი მანეთის გადამეტებით.

სესია გადავიდა დღის წესრიგის მესამე პუნქტის — სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის განხილვაზე. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ნ. მ. ბორისენკომ.**

ნ. მ. ბორისენკოს მოხსენების შემდეგ დეპუტატებმა დაიწყეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის განხილვა.

სკკპ სარატოვის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ა. ი. შიბაევმა** აღნიშნა, რომ ამ საკითხის განხილვა განუყრელად არის დაკავშირებული სოფლის მეურნეობის განვითარების 1971 წლის გეგმასთან.

სარატოველ მიწათმოქმედთათვის, თქვა მან, წყალს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ოლქი ხშირად განიცდის გვალვისა და ხორშაკის დამღუპველ ზემოქმედებას. სკკპ XXIII ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად ოლქში ფართო მასშტაბით გაიშალა რწყვის სამუშაოები. [illegible] მომავალში ეს მხარე [illegible] სარწყავ მიწებზე მარცვლეულის გარანტირებული წარმოების [illegible] უდიდესი რაიონი. ეჭვი [illegible], რომ ახალი კანონი დიდ როლს შეასრულებს ვოლგისპირეთისა და მთელი ჩვენი ქვეყნის [illegible] და კულტურულ განვითარებაში.

[illegible] „წყლის“ მნიშვნელობა [illegible] კარგად ესმით [illegible], სადაც ადამიანები [illegible] შორეულ წარსულში [illegible], იქ, სადაც იწყება [illegible] იწყება სიცოცხლეც. ასე [illegible] თავისი გამოსვლა ტაჯიკეთის სსრ კანიბადამის რაიონის [illegible] კოლმეურნეობა „კომუნიზმის“ [illegible] ბრიგადის ბრიგადირმა დეპუტატმა **ფ. ზაინიდინოვმა.** [illegible] მხარს წინადადებას იმის შესახებ, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლები.

[illegible] გამოვიდა სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი დეპუტატი **[illegible] ალექსევსკი**, რომელიც შეეხო, როგორც წარმოების [illegible] საშუალების, [illegible] პრობლემებს. ჩვენს [illegible], თქვა მან, შექმნილია [illegible] კასკადები ვოლგაზე, [illegible], დონზე. მარტო ვოლგის ჰიდროელექტროსადგურები [illegible] 34 მილიარდ კილოვატ-[illegible] ელექტროენერგიას აწარმოებენ.

სამელიორაციო სამუშაოთა [illegible] პერსპექტივები [illegible] მით გათვალისწინებულია ჩვენს ქვეყანაში თხუთმეტი წლის მანძილზე მორწყული და ამოშრობილი მიწების ფართობი გადიდდეს 18-დან 48 მილიონ ჰექტარამდე.

ორატორმა დაახასიათა აგრეთვე ღონისძიებანი, რომლებიც სსრ კავშირში ხორციელდება გარემოს გაჭუჭყიანებისაგან დაცვისათვის. მარტო უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის სამრეწველო საწარმოებში საექსპლოატაციოდ გადაეცა 6 ათასზე მეტი ნაგებობა ჩამდინარე წყლების გასაწმენდად. დასასრულ მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ წყლის კანონმდებლობის საფუძვლების მიღება საშუალებას მოგვცემს უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ და უფრო საიმედოდ დავიცვათ ჩვენი წყლის რესურსები.

სტავროპოლის მხარის გეორგიევსკის რაიონის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ი. ლ. კოზინამ** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მთელი რიგი მეურნეობანი სარწყავ მიწებზე იღებენ 40 ცენტნერ მარცვლეულს ჰექტარზე. ხოლო შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობამ სხვა ღონისძიებებთან კომპლექსში მორწყვის შედეგად შეძლო ყოველ ას ჰექტარ ფართობზე მოეყვანა და სახელმწიფოსათვის მიეყიდა 54 ათასი მანეთის პროდუქცია.

დეპუტატმა შეიტანა წინადადება მოიწონონ წყლის კანონმდებლობის პროექტი.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა დონეცკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ლ. მ. გრიდასოვმა.** ოლქში, თქვა მან, განლაგებულია სხვადასხვა პროფილის 900-ზე მეტი სამრეწველო საწარმო, შენდება მსხვილი ელექტროსადგურები, ქარხნები და საამქროები, მიმდინარეობს ფართო საბინაო მშენებლობა. ვითვალისწინებთ რა სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებას წყალზე, ოლქში ხორციელდება ფართო ღონისძიებანი წყლის ადგილობრივი ჩადინების რეგულირებისათვის, შენდება 900-ზე მეტი გუბურა და წყალსაცავი.

სესიაზე განსახილველად გამოტანილი კანონმდებლობის პროექტი, თქვა ყაზახეთის კომპარტიის ჯამბულის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **მ. ბ. ისხაკოვმა,** უნდა მივიჩნიოთ პარტიის ზრუნვად წყლის სიმდიდრისათვის, იმ ღონისძიებათა თანამიმდევრულ განხორციელებად, რომლებიც ხმარდება ჩვენი საზოგადოების საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებას.

კანონმდებლობის საფუძვლების ეს პროექტი მოიცავს წყალსამეურნეო ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლოატაციის ყველა საკითხს. აი რატომ ვიწონებთ მხურვალედ ამ პროექტს.

ამით კამათი დამთავრდა.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ პალატების ცალ-ცალკე კენჭისყრით ერთხმად მიიღო კანონი „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“.

უმაღლესმა საბჭომ დაადგინა კანონმდებლობის საფუძვლები ძალაში შეიყვანოს 1971 წლის 1 სექტემბრიდან. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაევალა დაადგინოს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების ძალაში შეყვანის წესი და სსრ კავშირის კანონმდებლობა შეუსაბამოს ამ საფუძვლებს. მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს აგრეთვე დაევალათ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა შეუსაბამონ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლებს.

შემდეგ მოხსენება დღის წესრიგის მეოთხე პუნქტის — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ — გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა, დეპუტატმა **მ. პ. გიორგაძემ.**

მან განაცხადა, რომ სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის შემდეგ განვლილ პერიოდში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულებანი, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად უნდა დაამტკიცოს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ. მომხსენებელმა დაასაბუთა ამ ბრძანებულებათა მიღების საჭიროება.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და მიიღო შესაბამისი კანონები და დადგენილებანი.

სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ ამით მუშაობა დაამთავრა. (საქინფორმი).

# საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურღვევი მეგობრობა

## საზეიმო კრება თბილისში

ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურს მიეძღვნა თბილისის საზოგადოებრიობის საზეიმო კრება, რომელიც 10 დეკემბერს გაიმართა. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საქართველოს განყოფილების კოლექტიური წევრის — უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის კონფერენც-დარბაზში შეიკრიბნენ მუშები და მოსამსახურეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, სტუდენტები. ისინი გულთბილად მიესალმნენ სსრ კავშირში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველს — დესპანს ზდენკო ჰებენს.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნინო ქვანიამ.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, ამ საზოგადოების რესპუბლიკური განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ, ბრატისლავისა და პრაღის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორმა, პროფესორმა დ. ლორთქიფანიძემ. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობას საფუძვლად უდევს საერთო პრინციპები, ინტერესები, მიზნები. საბჭოთა ადამიანები მეგობრობისა და ამხანაგობის უდიდესი გრძნობებით არიან გამსჭვალული ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებისადმი.

სიტყვებით გამოვიდნენ დოცენტი ვ. გოგუაძე და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი თ. მრევლიშვილი.

საქართველოს მუშათა კლასის სახელით ჩეხოსლოვაკიის მშრომელებს გულითადად მიესალმა და ახალი წარმატებანი უსურვა სოციალისტურ მშენებლობაში სოციალისტური შრომის გმირმა ამწყობმა ზეინკალმა შ. ფირცხალავამ.

უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელი ლ. ნიკურაძე და სტუდენტი დ. ღოღობერიძე ჩეხურ ენაზე მიესალმნენ ზ. ჰებენს და მის მეუღლეს, ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ მტკიცდება და ვითარდება საქართველოსა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრული ურთიერთობა, კულტურული გაცვლა.

კრებაზე გამოვიდა ზ. ჰებენი. დიდი და ურღვევი მეგობრობა და ძმობა, განაცხადა მან, ამხანაგური ურთიერთდახმარება და ყოველმხრივი თანამშრომლობა, საერთო მიზნები და იდეოლოგია მჭიდროდ აერთიანებს ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს.

კრების დასასრულს გაიმართა კონცერტი. (საქინფორმი).

**გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ ფურცლებზე**

**Молодежь Грузии**

# ენგურჰესს ახალგაზრდობა აშენებს

**როდის და საიდან ჩამოხვედით ენგურზე?**

**რა შეგმატათ მშენებლობაზე ყოფნამ?**

**კონკრეტულად რას აკეთებთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მოახლოვდეს მშენებლობის დამთავრების ვადა?**

აი კითხვები, რომლებზეც პასუხს იძლევიან ენგურჰესის ახალგაზრდა მშენებლები გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ ფურცლებზე. ანკეტა, რომელიც ენგურჰესელ ტრანსპორტელებს, მბურღავებს, მემანქანეებს, ბრიგადირებს, ცვლის ოსტატებს შეუვსიათ, საშუალებას გვაძლევს გავიცნოთ ამ დამკვრელურ-კომკავშირული ობიექტის მშენებელთა დღევანდელი მიზნები და ამოცანები. იგი ერთგვარად მთლიანობაში წარმოგვიდგენს და განაზოგადებს ამ დიდი მშენებლობის მრავალრიცხოვანი კოლექტივის ერთსულოვნებას...

**„შენ აშენებ გიგანტს ენგურზე, შენ სწერ საქართველოს ახალგაზრდობის ისტორიას“**, — ასეთი სათაური აქვს გაზეთის შიდა გვერდებს, სადაც ენგურჰესის მშენებლობისადმი მიძღვნილი მასალებია დაბეჭდილი. ამ მასალებში მკითხველი გაეცნობა, თუ როგორ იმაღლებენ კვალიფიკაციას, როგორ შრომობენ, სწავლობენ და ისვენებენ ენგურჰესელი ახალგაზრდები. აქ ნახავთ მონათხრობს ახალბედა მშენებლებზეც, რომლებიც კომკავშირული საგზურებით ჩავიდნენ ენგურზე, გაეცნობით უკვე გამობრძმედილი მშენებლების შრომითი გმირობის ამბავს და იგრძნობთ, რომ ახალგაზრდობის ენთუზიაზმს ენგურჰესის მშენებლობაზე გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის. **„ინჟინრები მშენებლობაზე ვხდებით“, „ჩვენ მძღოლები ვართ“, „ჩვენ ხიდს ვაშენებთ“, „მივაბიჯებთ პირველ რიგებში“** —ასეთია გაზეთის გვერდებზე დაბეჭდილი ძირითადი მასალების სათაურები, რომელთა შინაარსი გაზეთის სარედაქციო კოლექტივმა ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გააცნო მკითხველს.

დღეს ენგურზე ვინ არ იცნობს კოშკურა ამწის მემანქანეს ავთანდილ ზარნაძეს, ძალოვანი კვანძის სამმართველოს ცვლის ოსტატს ალბერტ ვეფხვაძეს, № 1 ვარდნილჰესის მესამე უბნის მბურღავს რაიკო აგაიას და მრავალ სხვას, რომლებმაც ენგურჰესის მშენებლობაზე დაიწყეს დამოუკიდებელი ცხოვრება, შეიყვარეს შრომა და დავაჟკაცდნენ. სწორედ მათი და მათი თანატოლების შრომით გმირობად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ენგურჰესის მშენებლობის ტემპი თანდათან იზრდება.

ამჟამად ენგურჰესზე 4.000 ახალგაზრდა შრომობს. მაგრამ მათი რიგები თანდათან მატულობს. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ყოველდღიურად ზრუნავს იმისათვის, რომ ენგურის გიგანტს ახალგაზრდული ენთუზიაზმი არ მოაკლდეს.

„მოლოდიოჟ გრუზიის“ პირველი გვერდი იხსნება მოწინავე წერილით **„დამკვრელური კომკავშირული“.** მასში ნათქვამია: **„ენგურის ჰიდროელექტროსადგური — ეს არის ტრადიცია, უფრო სწორად, ეს არის ჩვენი ხალხის ტრადიციების—შრომითი ტრადიციების გაგრძელება. ეს ტრადიციები იწყებოდა ზაჰესზე, რიონჰესზე, კოლხიდაში, გრძელდებოდა რუსთავსა და მადნეულში. და დღეს იგი ენგურჰესზე გვირგვინდება“.**

ამ სიტყვების აზრი კარგად ჩანს გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილ მასალებში, რომელთა ავტორები არიან ენგურჰესის კომკავშირის კომიტეტის მდივანი გ. გუნავა, ძალოვანი კვანძის სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი ო. ღლონტი, გაზეთის სპეციალური კორესპონდენტები ა. ზარდანია, ვ. ანდღულაძე, ზ. ქარუმიძე, ვ. ანთიძე, ა. ქურდიანი; გაზეთის გვერდები კარგად არის ილუსტრირებული ს. ედიშერაშვილის ფოტოებით.

გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ სარედაქციო კოლექტივმა კარგი საქმე გააკეთა, რომ ენგურჰესელი ახალგაზრდობის შრომას ასეთი საინტერესო ნომერი მიუძღვნა.

# სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. მ. ბორისენკოს მოხსენება

**ამხანაგო დეპუტატებო!**

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიებმა საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებთან, მრეწველობის კომისიებთან, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიებთან, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიებთან, ბუნების დაცვის კომისიებთან ერთად დამავალეს მოგახსენოთ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის შესახებ, რომელიც მათ შემოიტანეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლანდელი სესია წყლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტს იხილავს პარტიის XXIV ყრილობის წინ. წინასწარი შედეგები გვიჩვენებენ, რომ წარმატებით სრულდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით.

წელს ჩვენმა ხალხმა და მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავი. ლენინის სახელთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებულია მთელი რევოლუციური ეპოქა ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში. ვ. ი. ლენინი იდგა საბჭოთა კანონმდებლობის სათავეებთან, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ჩვენს ქვეყანაში ძირეული სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების განხორციელებაში. ლენინის „დეკრეტით მიწის შესახებ“ მთელი წყლები, სხვა ბუნებრივ სიმდიდრეებთან ერთად, ნაციონალიზებულ იქნა, და მათი გამოყენება ექვემდებარება საბჭოთა ხალხის ინტერესებისათვის საწარმოო ძალების განვითარების ამოცანებს.

უკვე საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში თავი იჩინა დიდმა ზრუნვამ წყლის რესურსების ეფექტიანი გამოყენებისათვის. ცნობილია ვ. ი. ლენინის მითითებანი თურქესტანში, ამიერკავკასიაში, ვოლგისპირეთში მიწების მორწყვის შესახებ, ჰიდროენერგეტიკის განვითარების შესახებ, თევზსარეწი წყალსატევების დაცვის შესახებ, სამკურნალო წყლების ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებისათვის გამოყენების შესახებ და სხვ. მიღებულ იქნა ბევრი სამართლებრივი აქტი, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს წყლების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ორგანიზაციაში.

მრეწველობის სწრაფი განვითარების, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის, სარწყავი მიწების გაფართოების, აგრეთვე ადამიანთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ვითარებაში მნიშვნელოვნად იზრდება წყლის მოხმარება და წყლის რესურსების გამოყენების სხვა ფორმები. წყლით უზრუნველყოფის, წყლების დაცვის საკითხებს ამჟამად ენიჭება სერიოზული პრობლემის ხასიათი, რომლის გადაჭრაზე რამდენადმე დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარება.

რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყანა, მისი მეურნეობა და მოსახლეობა არ განიცდიან ეგრეთ წოდებულ „წყლის შიმშილს“. საბჭოთა კავშირი მდიდარია წყლის რესურსებით. მიუხედავად ამისა, ქვეყნის ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებზე, სადაც თავმოყრილია მოსახლეობის, მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების 80-მდე პროცენტი, მოდის მდინარეთა საერთო ჩადინების მხოლოდ 14 პროცენტი.

წყლით მომარაგების პრობლემას ართულებს ბევრი წყლის წყაროს გაჭუჭყიანება გაუწმენდავი საწარმოო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვების შედეგად. წყალსატევებს საგრძნობლად აჭუჭყიანებს მინდვრებიდან შხამქიმიკატებისა და სასუქების შემცველი ზედაპირული ჩამონადენი.

უკანასკნელ წლებში დიდი მასშტაბით ხორციელდება ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ წყალსატევების გაჭუჭყიანების თავიდან აცილებას, შენდება საწმენდი და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობანი. მაგრამ წყალმომარაგებისა და სხვა სახალხო-სამეურნეო საჭიროებისათვის გამოყენებული ბევრი წყლის წყაროს სანიტარული მდგომარეობა ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებელია.

სწორედ ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს იმის შესახებ, რომ უნდა ვუფრთხილდებოდეთ ბუნებას, ვიცავდეთ და ვამრავლებდეთ მის სიმდიდრეს, რომ ბუნებრივი რესურსების მომჭირნედ, თადარიგიანად გამოყენება, ზრუნვა მიწისათვის, ტყისათვის, მდინარეებისა და სუფთა ჰაერისათვის, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროსათვის — ყოველივე ეს ჩვენი ღვიძლი, კომუნისტური საქმეა.

პარტია და მთავრობა მუდამ დიდ ყურადღებას უთმობდნენ ამ საკითხს. საკმარისია ითქვას, რომ მიმდინარე წლის ივლისში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოიწონეს მოხსენება 1971-1985 წლებში მიწების მელიორაციის განვითარების პერსპექტივების, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების ინტერესებისათვის მდინარეთა ჩამონადენის რეგულირებისა და გადანაწილების შესახებ.

წყლის რესურსების რაციონალურად, კომპლექსურად გამოყენებისა და მათი დაცვის ამოცანების გადაჭრაში დიდმნიშვნელოვანი როლი ენიჭება საბჭოთა წყლის კანონმდებლობას. თავის დროზე მიღებულ ნორმატიულ აქტებს წყლის რესურსების გამოყენების მოწესრიგებისა და მათი დაცვის გაძლიერების შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვთ. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ეს აქტები დაქსაქსულია, არ არის კოდიფიცირებული, მათი ცალკეული დებულებები უკვე მოძველდა, აღარ შეესაბამება დღევანდელობის ამოცანებს და მით უმეტეს მომავალ წლებში საზოგადოებრივი წარმოების განვითარების მოთხოვნებს.

წყლების გამოყენების შემდგომი მოწესრიგებისა და მათი დაცვის გაძლიერების ინტერესებისათვის საჭიროა მივიღოთ ისეთი კანონი, რომელიც გააერთიანებს ყოველივე მნიშვნელოვანს, რასაც შეიცავენ მოქმედი ნორმატიული აქტები, და ახალი პრინციპული დებულებების დაწესებით მტკიცე სამართლებრივ ბაზას შექმნის საბჭოთა წყლის კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფისათვის. სწორედ ამ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს საერთო-საკავშირო კანონი, რომლის პროექტი შემოტანილია თქვენს განსახილველად.

ამხანაგო დეპუტატებო! კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს კომისიების მიერ მომზადებული წყლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი გამოქვეყნდა გაზეთებში „იზვესტია“, „სელსკაია ჟიზნ“, „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრია“ და რესპუბლიკურ გაზეთებში, რათა იგი განეხილა საზოგადოებრიობას.

საფუძვლების პროექტმა დიდი ინტერესი გამოიწვია. იგი განიხილეს საწარმოთა, ორგანიზაციათა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებათა და სასწავლებელთა კოლექტივების კრებებზე, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებსა და უწყებებში. კანონპროექტს დიდ ყურადღებას უთმობდნენ პრესა, რადიო და ტელევიზია.

საზოგადოებრიობის მიერ საფუძვლების პროექტის განხილვასთან დაკავშირებით მივიღეთ სამი ათასზე მეტი შენიშვნა და წინადადება, რომლებიც გულდასმით შეისწავლეს მუდმივმა კომისიებმა. განხილვის შედეგები გვიჩვენებენ, რომ წყლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტს იწონებენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები, რომელთაც იგი მიაჩნიათ წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვისათვის საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვის გამოვლინებად.

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მუდმივი კომისიები, რომლებმაც შეიმუშავეს განსახილველი კანონპროექტი, გულითად მადლობას უხდიან ყველა ამხანაგსა და ორგანიზაციას, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის განხილვაში.

მიღებულ წერილებსა და კორესპონდენციებში გამოთქმული იყო წინადადება, რომ საფუძვლების პროექტს დაემატოს ახალი მუხლები, რომლებითაც უნდა დამკვიდრდეს საზოგადოებრიობის მონაწილეობა წყლის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში, განისაზღვროს წყლების გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის ამოცანები. შემოტანილი იყო წინადადებანი იმის შესახებ, რომ კანონპროექტში უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს სახალხო მეურნეობაში წყლების გამოყენების აღრიცხვისა და დაგეგმვის საკითხებს.

დასაბუთებული იყო, რომ მიზანშეწონილია კანონში დაწესდეს იმ ორგანოთა ნუსხა, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფოებრივ მართვას წყლების გამოყენებისა და დაცვის დარგში, დაზუსტდეს ერთიანი სახელმწიფო წყლის ფონდის ცნება. შენიშვნების მნიშვნელოვანი ნაწილი განეკუთვნებოდა წყლის ობიექტების სარგებლობაში გადაცემის წესსა და წყალსარგებლობის ცალკეულ სახეობათა რეგულირებას. ეს წინადადებები ასახულია საფუძვლების პროექტში.

წინადადებები, რომლებიც შეეხება ტყეების, წიაღისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვას, გათვალისწინებულია იმდენად, რამდენადაც განეკუთვნებიან მოცემული კანონპროექტის საგანს. ცალკეული წინადადებები არ გაგვითვალისწინებია, რამდენადაც ისინი გულისხმობენ წყლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის მეტისმეტ დეტალიზაციას. ისინი მიზანშეწონილია გავითვალისწინოთ მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კოდექსებისა და სხვა რესპუბლიკური აქტების მომზადების დროს.

ზოგიერთი წინადადება კომისიებს არ მიუღიათ სხვა მიზეზების გამო. ვერ დავეთანხმებით, მაგალითად, წინადადებებს წყლით სარგებლობის ფასიანობის დადგენის შესახებ. ეს საკითხი საჭიროებს სპეციალურ შესწავლასა და განხილვას. ამასთან კომისიებს მიაჩნიათ, რომ კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში იქ, სადაც ამას სასურველი ეკონომიური შედეგი ექნება, სსრ კავშირის მთავრობის მითითებით, შეიძლება დადგინდეს ფასიანობა ცალკეული სახეობის სპეციალურ წყლით სარგებლობაზე, რასაც ითვალისწინებს კიდეც საფუძვლების პროექტი.

შემოვიდა წინადადებანი, რომ აკრძალულიყო ჩამდინარე წყლების გადაგდება წყალსატევებში. ამ წინადადებათა განხილვის დროს ვითვალისწინებდით, რომ მრეწველობის, მიწების მელიორაციის, კომუნალურ ნაგებობათა ექსპლოატაციის ბევრი პროცესი ქალაქებში ითვალისწინებს ნამუშევარი წყლების გადაგდებას წყალსატევებში.

საჭიროა, რომ ჩვენმა მეცნიერებმა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ყველაფერი იღონონ ისეთი ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებისა და წარმოებაში დანერგვისათვის, რომლებიც შეზღუდავენ ჩამდინარე წყლების გადაგდების შემდგომ საჭიროებას ან საშუალებას მოგვცემენ მთლიანად გავწმინდოთ ეს წყლები.

ამ პირობებში წყლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი არ ითვალისწინებს ჩამდინარე წყლების გადაგდების აკრძალვას, არამედ ადგენს მკაცრი მოთხოვნების დაცვის ღონისძიებათა სისტემას, რომლებიც გამომდინარეობენ გაჭუჭყიანებისაგან, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან ქვეყნის წყლის რესურსების დაცვის ამოცანებიდან.

ამხანაგო დეპუტატებო! თქვენს განსახილველად წარმოდგენილ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტში განსაზღვრულია მთავარი, ყველაზე პრინციპული დებულებანი, რომლებიც ეხება საწყლო ურთიერთობის რეგულირებას ჩვენს ქვეყანაში. ამასთან კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ ამ ურთიერთობის რეგულირება ხორციელდება დადგენილის ფარგლებში და სსრ კავშირის წყლის კანონმდებლობის სხვა აქტებით, აგრეთვე წყლის კოდექსებით და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის სხვა აქტებით.

წყლის კანონმდებლობის ასეთი სისტემა შეესაბამება დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინურ პრინციპსა და ჩვენი სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ფედერაციული წყობილების სოციალისტურ პრინციპებს.

წყლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი შედგება პრეამბულისა და ხუთი კარისაგან, რომლებშიც 46 მუხლია.

პირველ კარში თავმოყრილია წყლის კანონმდებლობის ზოგადი დებულებანი, რომლებიც განსაზღვრავენ მის ამოცანებს, საკავშირო და რესპუბლიკური კანონების თანაფარდობას, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციის განსაზღვრას საწყლო ურთიერთობის რეგულირების დარგში, აგრეთვე მთელ რიგ სხვა პრინციპულ დებულებებს.

საბჭოთა კავშირის წყლის კანონმდებლობის ქვაკუთხედია ის, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციით დამკვიდრებულია წყლის სახელმწიფო საერთო-სახალხო საკუთრება. ვითვალისწინებთ რა ამას, საფუძვლების პროექტის მე-3 მუხლში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად წყლები საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში საყოველთაო-სახალხო კუთვნილება, სახელმწიფოს მხოლოდ და მხოლოდ საყოველთაო-სახალხო საკუთრებაა და გადაეცემა მხოლოდ სარგებლობისათვის. ეს დებულება ქმნის ობიექტურ წანამძღვარს ქვეყნის წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების ორგანიზაციისათვის სახალხო-სამეურნეო გეგმების შესაბამისად.

ყველა წყალი სსრ კავშირში შედის ერთიან სახელმწიფო წყლის ფონდში. ერთიანი სახელმწიფო წყლის ფონდი შეიცავს სსრ კავშირის ტერიტორიაზე ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებს, მყინვარებს, შიდა ზღვებს და სხვა წყლის ობიექტებს, რომელთა გამოყენება შეიძლება საწარმოო ძალების განვითარების მიღწეული დონის პირობებში და ექვემდებარება სამართლებრივ რეგულირებას, ესე იგი შეიძლება მათი გადაცემა სარგებლობაში, ან ამოღება სარგებლობიდან კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებით და მათთვის შეიძლება დადგინდეს გარკვეული სამართლებრივი რეჟიმი.

წყლის კანონმდებლობის საფუძვლებზე პროექტის მე-5 და მე-6 მუხლები ითვალისწინებენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციის განსაზღვრას საწყლო ურთიერთობის რეგულირების დარგში. ეს განსაზღვრა ითვალისწინებს იმის საჭიროებას, რომ სსრ კავშირს შენარჩუნებული ჰქონდეს უფლებათა გარკვეული კომპლექსი, რომლებიც უზრუნველყოფენ მისი კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებას, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულობის გათვალისწინებით.

კანონპროექტის მე-7 მუხლში ლაპარაკია სახელმწიფო მართვის შესახებ წყლების გამოყენებისა და დაცვის დარგში, მათ შორის საუზო (ტერიტორიული) მართვის სისტემის საშუალებით. როგორც ცნობილია, წყლების ფორმირება და გადანაწილება აუზებში ერთიანი ბუნებრივი პროცესია, რომელიც ზუსტად უნდა იყოს გათვალისწინებული წყლის რესურსების სამეურნეო გამოყენების საკითხთა გადაწყვეტის დროს.

წყლების გამოყენებისა და დაცვის ორგანიზაციის საქმეში პროექტით ფართო უფლებანი ეძლევათ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებსა და მათ აღმასრულებელ კომიტეტებს. კერძოდ, ადგილობრივი საბჭოები დიდმნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდნენ წყლების გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაში, იმის უზრუნველყოფაში, რომ ყველა საწარმომ, ორგანიზაციამ, დაწესებულებამ და მოქალაქემ ზუსტად და განუხრელად დაიცვას წყლის კანონმდებლობის მოთხოვნები. შესაბამის შემთხვევებში ადგილობრივ საბჭოებს ეკისრებათ გასცენ წყლით სპეციალური სარგებლობის ნებართვები. ამ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის ადგილების განსაზღვრა, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლების მდგომარეობაზე, აუცილებლად უნდა შეუთანხმდეს, როგორც ამას პროექტის საფუძვლები მოითხოვენ, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს.

ადგილობრივი საბჭოების მიერ აღნიშნულ უფლებამოსილებათა განხორციელება ხელს შეუწყობს წყლების უფრო ეფექტიან და კომპლექსურ გამოყენებას სხვადასხვა წყლით მოსარგებლეთა ინტერესების გათვალისწინებით.

წყლის რესურსების გონივრული გამოყენებისა და დაცვის ორგანიზაციაში კანონპროექტი დიდ როლს აკისრებს საზოგადოებრიობას — პროფკავშირულ, ახალგაზრდულ, სამეცნიერო, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა ნებაყოფლობით საზოგადოებებს. ისინი სახელმწიფო ორგანოებთან ერთად დიდმნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან იმისათვის, რომ მოქალაქენი აღზარდონ ბუნებრივი სიმდიდრეებისადმი, მათ შორის ქვეყნის წყლის რესურსებისადმი სათუთი დამოკიდებულების სულისკვეთებით.

წყლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის მეორე კარი ეძღვნება სხვადასხვა სახეობის წყალსარგებლობის რეგულირებას. მასში განსაზღვრულია საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მოქალაქეების სარგებლობაში წყლის ობიექტების გაცემის წესი. დადგენილია წყლით მოსარგებლეთა უფლებამოვალეობანი. ამასთან წყალსარგებლობის ურთიერთობის სამართლებრივ რეგულირებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების პრინციპს.

წყალსატევების ექსპლოატაციით დაინტერესებული არიან ბევრი სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, ენერგეტიკული, კომუნალური, თევზსამეურნეო, სატრანსპორტო და სხვა საწარმო, ორგანიზაცია და დაწესებულება, აგრეთვე უშუალოდ მოსახლეობა. ამოცანა ის არის, რომ პრაქტიკულად შევუთანხმოთ და შევუთავსოთ ერთმანეთს სხვადასხვა წყლით მოსარგებლეთა ინტერესები.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად საფუძვლების პროექტის მე-17 მუხლი განსაზღვრავს ყველა წყლის მოსარგებლისათვის საერთო მოვალეობას — არ დაარღვიონ უფლებანი, რომლებიც ენიჭება სხვა წყლით მოსარგებლეებს, აგრეთვე არ მიაყენონ ზარალი სამეურნეო ობიექტებსა და ბუნებრივ რესურსებს.

წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების პრინციპის დაცვის განმსაზღვრელი დიდმნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობაა დაგეგმვა. სწორედ ამიტომ საფუძვლების პროექტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს წყალსამეურნეო ბალანსებსა და წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემებს. 41-ე მუხლში განსაზღვრულია წყლების გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვისა და დაგეგმვის ამოცანები.

საფუძვლების პროექტი თანამიმდევრულად ახორციელებს მოსახლეობის სამეურნეო-სასმელი მოთხოვნილებათა პირველ რიგში დაკმაყოფილების პრინციპს. ეს პრინციპი ნიშნავს, რომ წყლის ობიექტების სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო თუ რომელიმე სხვა სახეობის ექსპლოატაცია ხელს არ უნდა უშლიდეს მოსახლეობის სამეურნეო-სასმელ წყალმომარაგებას. მოსახლეობის სამეურნეო-სასმელი წყალმომარაგების პრიორიტეტის კანონმდებლობით დამკვიდრება გამოხატავს საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვას საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული პირობებისათვის.

საფუძვლების პროექტის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია წყლების დაცვა. წყლების დაცვისათვის ზრუნვა წითელ ზოლად გასდევს წყლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის მთელ შინაარსს.

წყლების გაჭუჭყიანების, დანაგვიანებისა და დაშრეტის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა წარმოებდეს თანამედროვე პირობებში ხელმისაწვდომი ყველა ღონისძიებითა და საშუალებით. ეს მუშაობა უნდა შესრულდეს წყლების დაცვის გამაფრთხილებელ ღონისძიებათა განხორციელებისა და მათი გაჭუჭყიანების, დანაგვიანებისა და დაშრეტის არსებული მიზეზების ლიკვიდაციის გზით. ამასთან დაკავშირებით საფუძვლების პროექტი კრძალავს საწარმოს, საამქროს, აგრეგატის, კომუნალური და სხვა ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემას, თუ ისინი უზრუნველყოფილი არ არიან წყლების გაჭუჭყიანების თავიდან ასაცილებელი მოწყობილობებით.

საფუძვლების პროექტის 38-ე მუხლი საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ავალებს არ დაუშვან წყალშემკრებთა ზედაპირის, წყალსატევთა ყინულის საფარისა და მყინვართა ზედაპირის გაჭუჭყიანება და დანაგვიანება საწარმოო, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენებით. სახელმწიფო წყალსამეურნეო სისტემათა სამმართველოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები მოვალენი არიან აღკვეთონ წყლების გაჭუჭყიანება სასუქებითა და შხამქიმიკატებით.

წყლების გაჭუჭყიანების, დანაგვიანებისა და დაშრეტის არსებული მიზეზების ლიკვიდაციის მიზნით საფუძვლების პროექტი ითვალისწინებს წყალსარგებლობის განხორციელებასთან დაკავშირებული ეკონომიკური პირობებისა და მოთხოვნების მთელ სისტემას.

მაგალითად, ყველა სამრეწველო საწარმო, რომლებიც წყლებით სარგებლობენ, ვალდებული არიან განახორციელონ ღონისძიებანი, რათა შეამცირონ წყლის ხარჯვა და შეწყვიტონ ჩამდინარე წყლების გადაგდება წარმოების ტექნოლოგიისა და წყალმომარაგების სქემების სრულყოფის გზით. იქ, სადაც ეს შესაძლებელია, უნდა გამოვიყენოთ უწყლო ტექნოლოგიური პროცესები, შევცვალოთ წყლით გაცივება ჰაერგაცივებით, დავნერგოთ საბრუნავი წყალმომარაგება და სხვა ტექნიკური ხერხები, რომელთა შედეგად სამრეწველო საწარმოები შეწყვეტენ ჩამდინარე წყლების ჩადადებას.

სხვა შემთხვევებში უნდა შეიქმნას ტექნიკურად სრულყოფილი საწმენდი ნაგებობანი და მოწყობილობანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩამდინარე წყლების სათანადოდ გაწმენდას გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათაგან. ამასთან კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ ჩამდინარე წყლების ჩაშვება შეიძლება მხოლოდ წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოების ნებართვით და იმ პირობით, თუ ის არ გამოიწვევს გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობის გადიდებას წყლის ობიექტში დაწესებული ნორმების გადამეტებით.

წყლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყველა იმ ღონისძიების მეცნიერული დასაბუთების დონის ამაღლებას, რომლებიც შეეხება წყლების გამოყენებასა და დაცვას. აქ მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება სახელმწიფო წყლის კადასტრს, წყალსამეურნეო ბალანსებსა და წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემებს, რომლებზეც ლაპარაკია საფუძვლების პროექტის IV კარში.

დადგენილია, კერძოდ, რომ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა იმ ობიექტების განლაგებისა და მშენებლობის საკითხების შეთანხმების დროს, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლების მდგომარეობაზე, აგრეთვე სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის გაცემის დროს წყლების გამოყენებისა და დაცვის რეგულირების ორგანოები მოვალენი არიან იხელმძღვანელონ წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემებით და წყალსამეურნეო ბალანსებით.

კანონპროექტის დასკვნითი კარი აწესებს ძირითად დებულებებს წყლის კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. მაგალითად, ბათილად ცხადდება ყოველგვარი უკანონო გარიგებანი, რომელთა საგანია წყალი, და წესდება წყლის კანონმდებლობის დარღვევათა ნუსხა, რომლებისთვისაც დამნაშავე პირთ ეკისრებათ სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. გათვალისწინებულია აგრეთვე საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა მოვალეობა აანაზღაურონ წყლის კანონმდებლობის დარღვევით გამოწვეული ზარალი. ყოველივე ეს ქმნის წყლებით სარგებლობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებისა და მოწესრიგების სამართლებრივ საფუძველს.

**ამხანაგო დეპუტატებო!**

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უმნიშვნელოვანესი საზრუნავია ადამიანისათვის ზრუნვა. ჩვენთვის უცხოა ბუნებრივ სიმდიდრეთა მტაცებლური გამოყენება, რომელიც არ ითვალისწინებს მომავალ თაობათა ინტერესებს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლები მიჩნეული იქნება როგორც გამოვლინება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვისა იმისათვის, რომ უფრო რაციონალურად გამოიყენონ ქვეყნის წყლის რესურსები ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ. წყლის კანონმდებლობის საფუძვლების განხორციელება ხელს შეუწყობს ჩვენი საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებას, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას ჩვენს ქვეყანაში.

---

# მსოფლიო დღეს

## ხალხის ინტერესებისათვის

**მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ. იგი საზღვარგარეთის პრესის დიდ ყურადღებას იპყრობს.**

**სოფია.** ბულგარეთის გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ საბჭოთა ხალხის წარმომადგენელნი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით იხილავენ საკითხებს, **რომელთა წარმატებით გადაჭრა ხელს შეუწყობს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ განმტკიცებას.** „რაბოტნიჩესკო დელო“ და სხვა გაზეთები აღნიშნავენ მიმდინარე წელს საბჭოთა ეკონომიკის განვითარების მაღალ ტემპს და იმ ამოცანების გრანდიოზულობას, რომლებსაც საბჭოთა ქვეყანა ისახავს 1971 წლისათვის.

**ულან-ბატორი.** 1971 წელს, წერს გაზეთი „უნენი“, გათვალისწინებულია სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ზრდა, მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარება, **საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მატერიალური დონის ახალი ამაღლება.**

**დელი.** „მშვიდობიანი ბიუჯეტი“ — ასე უწოდებს გაზეთი „პეტრიოტი“ სსრ კავშირის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს. აშუქებს რა სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის ძირითად დავალებებს, გაზეთი აღნიშნავს, რომ თვალსაჩინო ადგილი ეთმობა საბჭოთა ხალხის მატერიალური დონის ამაღლებას.

**თეირანი.** საბჭოთა კავშირის 1971 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს დიდ კაპიტალდაბანდებებს ეკონომიკაში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, ხაზს უსვამს გაზეთი **„ქეიჰან ინტერნეშნლი“. საბჭოთა მთავრობა, წერს გაზეთი, გეგმავს მისცეს ხალხს მეტი ფართო მოხმარების საქონელი, მეტი ბინა, მაცივარი, ავტომობილი, გაუმჯობესოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემა.**

**პარიზი.** საფრანგეთის გაზეთები აქვეყნებენ ციფრებს, რომლებიც ახასიათებენ საბჭოთა ეკონომიკის განვითარებას 1970 წელს, აღნიშნავენ ამოცანებს, რომლებიც დასახულია ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის გეგმაში. ბურჟუაზიული გაზეთები აღნიშნავენ, რომ **სსრ კავშირის თავდაცვის ხარჯები 1971 წელს აბსოლუტურ ციფრებში დარჩება 1970 წლის დონეზე.**

**ტოკიო.** **„მშვიდობიანი ბიუჯეტი. სერიოზული ყურადღება ეთმობა ცხოვრების დონის ამაღლებას, ტექნიკურ პროგრესს, შრომის ნაყოფიერების გადიდებას“.** ასეთი სათაურით ბეჭდავს მოსკოვიდან მიღებულ ცნობებს გაზეთი **„ასახი“**. გაზეთი **„იომიური“** წერს, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც განახორციელებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკას (საქდესი).

## ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

● **პრაღა.** 11 დეკემბერი. (საქდესი). **პრაღის კრემლში მუშაობა დაიწყო ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა.**

**ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მოხსენება პარტიული ბილეთების გამოცვლის შემდეგ პარტიის მთავარი ამოცანის შესახებ გააკეთა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გუსტავ ჰუსაკმა.**

გ. ჰუსაკმა თქვა, რომ გადამწყვეტი წანამძღვარი პარტიისა და მთელი საზოგადოების კონსოლიდაციის საქმეში იყო ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიული ბილეთების გამოცვლის შესახებ, რომელიც 1970 წლის იანვარში მივიღეთ.

პარტიული ბილეთების გამოცვლის ყველაზე მთავარი შედეგია, ხაზი გაუსვა ორატორმა, პარტიის გაწმენდა და მემარჯვენე ოპორტუნიზმისა და რევიზიონიზმის ცენტრების განადგურება ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის შიგნით. პარტიამ თავიდან მოიშორა ისინი, ვინც უღალატა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს, ვინც დიდი ხნის განმავლობაში პასიური რჩებოდა.

მოხსენება 1971 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის მთავარი პრინციპების შესახებ პლენუმზე გააკეთა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ლ. შტროუგალმა.

შემდეგ პლენუმზე დაიწყო კამათი.

### აშშ

## მოძრაობა შეწყდა

**ნიუ-იორკი.** 11 დეკემბერი. (საქდესი). **მიუხედავად ზემოქმედებისა, რომელიც მეწარმეებმა, სასამართლო ორგანოებმა, კონგრესმა და თვით პრეზიდენტმაც კი მოახდინეს ამერიკელ რკინიგზელებზე, მათი გაფიცვა სულ უფრო ფართოვდება, ქვეყნის სულ ახალ-ახალ რაიონებზე ვრცელდება.**

უკანასკნელი მონაცემებით, გაფიცვაში მონაწილეობს ოთხასი ათასამდე კაცი — შეერთებული შტატების 150 რკინიგზის კომპანიის მუშათა და მოსამსახურეთა ოთხმოცი პროცენტზე მეტი.

გაფიცვის შედეგად შეერთებულ შტატებში ძირითადად შეწყდა მგზავრთა გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა, რაც, მიმომხილველთა აზრით, დიდ ზარალს მიაყენებს მსხვილი ბიზნესის ინტერესებს.

### პატრიოტთა წარმატება

● **პრესის სააგენტო „განთავისუფლება“ იმოწმებს აქის სააგენტოს და იუწყება, რომ 5 დეკემბერს კამბოჯის პატრიოტებმა პეამჩიკანგში ალყა შემოარტყეს მოწინააღმდეგის ორ ბატალიონს. ბრძოლის მსვლელობაში, რომელმაც ორ დღეს გასტანა, პატრიოტულმა ძალებმა დახოცეს მტრის 1000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, 150 კაცი ტყვედ ჩაიგდეს.**

### თურქეთის ყველაზე დღეგრძელი ქალი

● **ანკარა. (საქდესი). თურქეთის უხუცესი ქალი ხატიჯე კორკმაზი, რომელსაც 182 წელი შეუსრულდა, ცხოვრობს ქალაქ კონიის (ცენტრალური ანატოლია) მახლობლად. ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ხატიჯე კორკმაზი, რომელიც სამჯერ გათხოვდა, მხოლოდ ორჯერ იყო ავად.**

### 11 დეკემბერი

### ფაქტები

### ავსტრალიის მოსახლეობა

● **კანბერა. (საქდესი). თანახმად ავსტრალიის სტატისტიკური ბიუროს მონაცემებისა, რომლებიც აქ გამოქვეყნდა, მეხუთე კონტინენტის მოსახლეობა მიმდინარე წლის მესამე კვარტალის დამლევს შეადგენდა 12.680 ათას კაცს.**

### ვაზი მოგზაურობს

● **სოფია. (საქდესი). სხვადასხვა ჯიშის 8 მილიონ 100 ათასი ძირი ვაზი გაგზავნეს წელს სლივენელმა მევენახეებმა საბჭოთა კავშირში. სარგავი მასალა განკუთვნილია საქართველოს, აზერბაიჯანისა და სსრ კავშირის სხვა სამხრეთი რაიონების ვენახებისათვის.**

### მიწისძვრა პერუში

● **ნიუ-იორკი. (საქდესი). ძლიერი მიწისძვრა მოხდა პერუსა და ეკვადორის საზღვარზე. როგორც განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების მიწისძვრების საკითხთა ეროვნულმა საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელმა, მიწისქვეშა ბიძგების ძალა აღწევდა 7,8 ბალს რიხტერის სკალით. მიწისძვრის ეპიცენტრია 448 კილომეტრზე ეკვადორის დედაქალაქ კიტოს სამხრეთ-დასავლეთით.**

### სიცხე რიო-დე-ჟანეიროში

● **რიო-დე-ჟანეირო. (საქდესი). რიო-დე-ჟანეიროში მოულოდნელად დაცხა. ოთხშაბათს თერმომეტრი უჩვენებდა 40,8 გრადუსს ჩრდილში, რაც ყველაზე მაღალი ტემპერატურაა მთელი ამ წლის მანძილზე. სიცხის შედეგად ასობით მცხოვრები, ძირითადად ბავშვები, ორგანიზმის გაუწყლოების გამო საავადმყოფოებში დააწვინეს. ხუთი მათგანი ვერ გადაარჩინეს.**

## რეზოლუცია კვიპროსის საკითხზე

ნიუ-იორკი. 11 დეკემბერი. (საქდესი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ გუშინ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც ექვსი თვით აგრძელებს კვიპროსში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების ყოფნის ვადას.**

**რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ არსებულ ვითარებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების ყოფნა კვიპროსის მთავრობის თანხმობით ჯერ კიდევ საჭიროა კუნძულზე მშვიდობის დასაცავად.**

ნიუ-იორკი, 11 დეკემბერი. (საქდესი). ამერიკის შე**ერთებული შტატების წარმომადგენელმა თავი შეიკავა, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXV სესიის მესამე კომიტეტში კენჭი უყარეს რეზოლუციას, რომელიც ითვალისწინებს, თუ რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ნაციზმისა და რასობრივი შეუწყნარებლობის წინააღმდეგ.**

**კენჭისყრის მოტივები ქალბატონმა ედმონდსმა მოიყვანა წინა დღით, ამ საკითხის განხილვის მსვლელობაში, როცა იგი ამტკიცებდა, თითქოს ნაციზმი აღარ არსებობს.**

## აგრესორის მხილება

ვაშინგტონი, 11 დეკემბერი. (საქდესი). მას შემდეგ რაც დაამთავრა სამი დღის ვიზიტი ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში და მოლაპარაკება ამერიკის მთავრობის მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებთან, იორდანიის მეფე ჰუსეინი გამოვიდა პრეს-კონფერენციაზე პრესის ეროვნულ კლუბში. მან გადაჭრით გააკრიტიკა თელ-ავივის დამპყრობლური პოლიტიკა, ამასთან ხაზი გაუსვა, რომ ამ პოლიტიკის შედეგია დაძაბულობის გაძლიერება ახლო აღმოსავლეთში, „რასაც შეიძლება მოჰყვეს ომი, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მშვიდობას არა მარტო ამ რაიონში, არამედ აგრეთვე მთელს მსოფლიოში“. ახლო აღმოსავლეთში ნამდვილი და მტკიცე მშვიდობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ გზით, რომ განუხრელად შეასრულონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს ისრაელის მთელი ჯარების გაყვანას მიტაცებული არაბული ტერიტორიებიდან, თქვა მეფემ.

იორდანიის მეფემ ბრალი დასდო ისრაელს, რომ ცეცხლის შეწყვეტით სარგებლობს, რათა განიმტკიცოს მდგომარეობა მიტაცებულ ტერიტორიებზე. ჰუსეინმა მხარი დაუჭირა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პოზიციას, რომელიც, როგორც პრეზიდენტმა სადათმა განაცხადა, არ არის თანახმა დაუსრულებლივ გაგრძელდეს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, თუ ისრაელი კვლავ გაუწევს საბოტაჟს კონტაქტებს გ. იარინგის შუამავლობით.

## ელჩის გამტაცებელთა მოთხოვნები

**რიო-დე-ჟანეირო.** 11 დეკემბერი. (საქდესი). **ბრაზილიის არალეგალურმა ორგანიზაციამ მთავრობას წაუყენა პირობები, რომელთა საფუძველზეც იგი გაათავისუფლებს შვეიცარიის ელჩს ბუხერს, რომელიც აქ 7 დეკემბერს მოიტაცეს. არალეგალური ორგანიზაცია მოითხოვს, რომ მთავრობამ საპყრობილეებიდან გაათავისუფლოს 70 პოლიტიკური პატიმარი, დაბეჭდოს „მანიფესტი“ გაზეთებში და გადასცეს იგი რადიოთი და ტელევიზიით, გააუქმოს ამას წინათ შემოღებული მკაცრი კონტროლი რკინიგზის ტრანსპორტზე.**

ამ მოთხოვნებს შეიცავს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც კონვერტში იპოვნეს რიო-დე-ჟანეიროს ერთ-ერთ ეკლესიაში. იქვე იყო ელჩ ბუხერის წერილიც. იგი ატყობინებს თავის ოჯახს, რომ ჯანმრთელად არის, და კარგად ექცევიან.

**იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრმა ალფრედუ ბუზაიდმა განაცხადა, რომ მთავრობა ელოდება პოლიტიკურ პატიმართა სიას, რომელთა გათავისუფლებასაც ელჩის მომტაცებლები მოითხოვენ.** ადგილობრივ მიმომხილველთა აზრით, ეს განცხადება ნიშნავს, რომ ხელისუფალნი აპირებენ საპყრობილეებიდან გაათავისუფლონ პოლიტიკური პატიმრები, რათა საფრთხეში არ ჩააგდონ გატაცებული შვეიცარიელი დიპლომატის სიცოცხლე.



# დიდი სწავლული

## ვლადიმერ ვორონინის დაბადების 100 წლისთავისათვის

[illegible]

ინტელექტის, ენციკლოპედიური განსწავლულობის, მტკიცე რწმენისა და ნებისყოფის პიროვნება იყო. გონების ძალის დიდი რწმენით ცხოვრობდა იგი ამ ქვეყნად.

ვლადიმერ ვასილის-ძე ვორონინი დაიბადა 1870 წელს ყოფილი ტულის გუბერნიის სოფელ ნიკოლსკოეში, აგრონომის ოჯახში.

1880 წელს ტულის გიმნაზიაში დაიწყო სწავლა. განსაკუთრებით გაიტაცა ბუნებისმეტყველებამ, მათემატიკამ, ფიზიკამ. 1888 წელს ვ. ვორონინი შედის მოსკოვის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე. პირველი კურსის სტუდენტი იყო, როცა უნივერსიტეტთან არსებულ ზოოლოგიურ მუზეუმში ცნობილი ზოოლოგის ნ. ზოგრაფის ხელმძღვანელობით იწყებს მუშაობას და ოცი წლის ჭაბუკი აქვეყნებს თავის პირველ მეცნიერულ ნაშრომს.

მეორე კურსიდან ვ. ვორონინი მუშაობდა პროფესორ ა. ბაბუხინთან ჰისტოლოგიის კათედრაზე, სადაც მან აითვისა კვლევის მეთოდები, მიკროსკოპული ტექნიკა, რომელსაც იგი ასე ბრწყინვალედ ფლობდა.

1893 წელს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი აგრძელებს მუშაობას ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიაში, რომელიც ცნობილი თერაპევტის პროფესორ გ. ზახარინის კლინიკასთან არსებობდა.

1895-1896 წლებში ვ. ვორონინი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა გერმანიაში, ავსტრიასა და საფრანგეთში. მას მოუხდა მუშაობა პარიზში პასტერის ინსტიტუტში, აკადემიკოს პერრეს საზღვაო ზოოლოგიურ სადგურში, მუშაობდა მორფოლოგებთან მიუნხენში პროფესორ ბოლინგერთან, ჰალეში პროფესორ ცოპთან და მთელ რიგ სხვა ქალაქებში.

უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ

[illegible]

როცა სამედიცინო ფაკულტეტი უნივერსიტეტს გამოეყო და მის ბაზაზე სამედიცინო ინსტიტუტი შეიქმნა, ვ. ვორონინი მის დირექტორად დაინიშნა.

1922 წლიდან ვ. ვორონინი თბილისში ჩამოდის. ამ დროს იგი უკვე ბევრი ნაშრომის ავტორი და სამეცნიერო წრეებში კარგად ცნობილი მეცნიერი იყო. მისი ჩამოსვლა საქართველოში შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო.

ოდესაში მას ახლო ნაცნობობა ჰქონდა ქართველ კოლეგებთან. ოდესის უნივერსიტეტში, სადაც ვ. ვორონინი ზოგადი პათოლოგიისა და ბაქტერიოლოგიის კათედრას განაგებდა, მრავალი ქართველი სწავლობდა და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა. როცა ქართული უნივერსიტეტი ფრთებსა შლიდა და ახალ სამეცნიერო დარგებს საფუძველი ეყრებოდა, რუსეთისა თუ უცხოეთის უმაღლეს სკოლებში მომუშავე ქართველი მეცნიერები სამშობლოში დაბრუნდნენ და ვ. ვორონინმა ქართველ მეგობრებს მოაშურა.

1922-1955 წლებში იგი განაგებდა პათოფიზიოლოგიის კათედრას ჯერ თბილისის უნივერსიტეტში, შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტში, ხოლო 1945 წლიდან ერთდროულად ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის პათოფიზიოლოგიისა და მორფოლოგიის განყოფილებას. იმავე წელს არჩეული იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად.

1960 წელს 90 წლის ასაკში ვ. ვორონინი გარდაიცვალა.

ვ. ვორონინის სამეცნიერო შრომები არ არის მრავალრიცხოვანი, მაგრამ არც ერთი მათგანი შრომის შესრულების საღერღელით არ არის შექმნილი. რომელი გამოკვლევაც უნდა აიღოთ, მოგხიბლავთ საკითხის ზუსტი და მკაფიო დაყენება, გამოკვლევის ობიექტისა და მეთოდის შესაფერისი, ზოგჯერ კი ერთადერთი სწორი შერჩევა, მოვლენის არსში წვდომის ზედმიწევნითი სურვილი.

მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობილი დასკვნები და არავითარი ვარაუდები. ასეთი იყო დიდი სწავლულის მოთხოვნილება, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა ვარაუდების შექმნის განუსაზღვრელი შესაძლებლობა, ასოციაციების ძნელად წარმოსადგენი სიუხვე და ცოდნის სრულიად სხვადასხვა სფეროდან განყენების უბადლო ნიჭი.

აღსანიშნავია, რომ ვ. ვორონინი არაერთხელ ყოფილა მიწვეული კონსულტანტად რკინიგზის ტრანსპორტის, ჰიდრავლიკის და სხვა, მედიცინისაგან სრულიად დაშორებული საკითხების გასარკვევად.

საკმარისია გადაშალოთ მის მიერ 1947-1948 წლებში გამოქვეყნებული „პათოფიზიოლოგიის სახელმძღვანელოს“ ორტომეული და უმალვე დარწმუნდებით ზემოთ ნათქვამში.

ენების ცოდნა მას საშუალებას აძლევდა გასცნობოდა სამეცნიერო ლიტერატურას უკრაინულ, ქართულ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

მან სიკვდილამდე შეინარჩუნა იშვიათი მეხსიერება, გონებამახვილობა, მეცნიერების უკანასკნელი მონაცემების ცოდნა, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებში გარკვეულობა — ის თვისებები, რომლებიც ყოველთვის საინტერესოსა და სასიამოვნოს ხდიდა მასთან საუბარს.

70 წელი შესწირა ვ. ვორონინმა სამეცნიერო მუშაობას და ამ წლების თითქმის ნახევარი თბილისში გაატარა.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა ღირსეულად დააფასა ვ. ვორონინის ღვაწლი. იგი დაკრძალულია ვაკის სავანეში, სადაც განისვენებენ დიდი ქართველი მედიკოსები, იქვე დადგმულია მისი ძეგლი. თბილისში სწორედ იმ უბანში, სადაც ის ცხოვრობდა, არის ქუჩა, რომელიც მის სახელს ატარებს, სამედიცინო ინსტიტუტში მისი სახელობის სტიპენდიებია დაწესებული და სხვ.

ვ. ვორონინის სახელი შესულია საბჭოთა მედიცინის ისტორიაში.

**ი. ზაალიშვილი,**
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პათოფიზიოლოგიის კათედრის გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

**ავთ. გელაშვილი,**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პათოფიზიოლოგიის კათედრის პროფესორი.

## ხელოვნების ქრონიკა

[illegible]

შელ, ... წლის ... სპექტაკლის დადგმა განახორციელა თეატრის რეჟისორმა მ. ფურცხვანიძემ, მხატვარია თბილისის სამხატვრო აკადემიის VI კურსის სტუდენტი მ. შველიძე. მუსიკალური გაფორმება ეკუთვნით ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეებს ი. ბობოხიძესა და გ. მარჯანიშვილს.

**ზ. მანაგაძე.**

● **ბორჯომის** სახალხო თეატრის კოლექტივმა მოამზადა მ. არეშიძის პიესა „დამნაშავენი“. სპექტაკლი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ხმალაძემ, მხატვრულად გააფორმა ო. ხუციშვილმა, როლებს ასრულებდნენ ბ. ხუციშვილი, მ. ჯიოშვილი, ჯ. ხიჯაკაძე, ი. გონცაძე, ზ. აკოფოვი, დ. დადიანი, ნ. ვეფხვიაშვილი, ე. ცაბაძე, ა. შანიძე და სხვ.

ბორჯომის სახალხო თეატრის კოლექტივმა რესპუბლიკურ ფესტივალზე მეორე ადგილი დაიკავა და ახლა ემზადება საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის.

**ივ. მჭედლიშვილი.**

## შემთხვევა

## ორთაბრძოლა ტყეში

**დუშეთი.** (საკ. კორ.). ეს ამბავი ზღაპარში ნაამბობს ჰგავს. მეღორეობის ფერმის მწყემსს ივანე ხორნაულს ამ შემოდგომაზე დათვი შემოეჩვია და ოთხი ღორი შეუჭამა. ამას წინათ ივანემ ღორები ტყე-კლდოვანში გარეკა, რა იცოდა, თუ მხეცი იქაც „ესტუმრებოდა“. დაბინდებისას დაუპატიჟებელმა სტუმარმა ბურვაკის მოტაცება მოინდომა, ივანემ ყვირილით სცადა მხეცის შეშინება, რადგან მას პატარა ცულის გარდა, სხვა იარაღი არ გააჩნდა. დათვმა, მართალია, ბურვაკს თავი დაანება, მაგრამ ახლა კაცს მივარდა და დათვურად დაბეგვა. ივანე მხეცს დაუსხლტა და თავს გაქცევით უშველა. საღამოზე ღორები რომ დაბრუნდნენ, ერთი აკლდა.

მეორე დილით ივანე სანადიროდ მოემზადა, თოფი აიღო და წავიდა იმ ადგილას, სადაც დათვი ეგულებოდა, იქ იპოვნა თავისი ბურვაკის ნარჩენები. კარგა ხანს უყარაულა ნადირს, მაგრამ ის არ ჩანდა. ივანე კვალს გაჰყვა და ხშირ ტყეში ბუნაგს მიაგნო, სადაც ნადირს ეძინა. მან გაიღვიძა და კვლავ მოინდომა კაცის დაჩაგვრა, მაგრამ ივანეს აღარ დაუყოვნებია — ორი გასროლით მხეცს ბოლო მოუღო.

**ა. თომაძე.**



# მშობლიურ სკოლაში

თბილისის 47-ე საშუალო სკოლაში ათ წელზე მეტია გაძლიერებით ისწავლება ინგლისური ენა. უცხო ენის სპეციალისტთა გულმოდგინე მუშაობა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მას შემდეგ, რაც ამ სკოლის კურსდამთავრებულებმა წარმატებით ჩააბარეს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები და ინგლისურ ენაში უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს. მადლიერი ახალგაზრდები ხშირად მოინახულებენ ხოლმე საყვარელ სკოლას, თავიანთ აღმზრდელებს. აი ახლაც ფოტოკორესპონდენტმა გ. სანაიამ ფირზე აღბეჭდა ინგლისური ენის მასწავლებლების (მარჯვნიდან მარცხნივ) ქეთო უიფშიძის, თინა გეგეჭკორის, ლოლა გაბრიჩიძისა და მედეა ბელთაძის გულთბილი შეხვედრა თავიანთ კურსდამთავრებულებთან, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტის წარჩინებულ სტუდენტებთან. ესენი არიან — ციცია გურაბანიძე, მზია პაპუაშვილი, ლალი ელიაშვილი, მარინე როჩიკაშვილი, მაია კახეთელიძე და რუსუდან ქიქოძე. მათ ყვავილები მიართვეს საყვარელ მასწავლებლებს.

# ს პ ო რ ტ ი

## დაწინაურდა კორჩნოი

**რიგის** საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატზე ჯათამაშდა 11 ტური. მეთერთმეტე ტურში გროსმაისტერმა კორჩნოიმ დაამარცხა პლატონოვი, დოროშკევიჩმა მოუგო კარასევს, ვაგანიანმა სძლია მოისეევს, ბალაშოვ-ზაიცევის პარტიაში წარმატება პირველს ხვდა.

გიპსლის-ცეიტლინის პარტიაში მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული ლიბერზონ-დემენტიევისა და ანტოშინ-მიკენასის პარტიებში. დანარჩენი პარტიები დაუმთავრებელი დარჩა.

წინა ტურიდან გადადებულ პარტიაში ანტოშინი დანებდა ვაგანიანს.

თერთმეტი ტურის შემდეგ ლიდერი გახდა კორჩნოი, რომელსაც 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. ტუკმაკოვმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა. მას 7 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს.

## „ზარია ვოსტოკას“ პ რ ი ზ ზ ე

**თბილისის** სპორტის სასახლეში ხელბურთელთა საერთაშორისო ტურნირს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე ფინიში აქვს. გუშინ გაიმართა ქვეჯგუფების უკანასკნელი შეხვედრები.

სსრ კავშირის ნაკრები თამაშობდა ისლანდიელ ხელბურთელებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 32:17. საბჭოთა ნაკრებმა „ა“ ქვეჯგუფში ბრძოლა 4 ქულით დაამთავრა. ისლანდიელებმა კი ორივე თამაში წააგეს.

სსრ კავშირის ახალგაზრდულმა გუნდმა დაამარცხა უკრაინის გუნდი 27:22 და 4 ქულით დაამთავრა შეხვედრები „ბ“ ქვეჯგუფში. უკრაინელებს 3 ქულა აქვთ.

შეუპოვარი გამოდგა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იუგოსლავიის ხელბურთელთა ასპარეზობა. წარმატება გერმანელებს ხვდათ 19:14. ორივე გუნდმა ოთხ-ოთხი ქულა შეაგროვა.

დღეს გაიმართება ფინალური შეხვედრები.

## ბოლო ტურის მიჯნასთან

**ჭადრაკში** მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო შეჯიბრების მონაწილეებმა გაიარეს უკანასკნელისწინა მიჯნა — სათვალავით 22-ე ტური.

აი მისი შედეგები: ფიშერმა მოუგო გლიგორიჩს, ულმანმა — მატულოვიჩს, რუბინეტიმ — ნარანიას, პოლუგაევსკიმ — მინიჩს.

ყაიმით დამთავრდა სმისლოვ-პორტის, ადისონ-ფილიპის, რეშევსკი-ტაიმანოვის, ლარსენ-უიტუმენის, გელერ-ივკოვის შეხვედრები.

გადაიდო მეკინგისა და ჰიუბნერის, პანოსა და სათლზის, პორტიშისა და ხიმენესის პარტიები.

როგორც ტანიუგის სააგენტო იუწყება, პორტიშ-ლარსენის გადადებულ პარტიაში მეტოქენი თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეუთანხმდნენ ერთმანეთს.

სატურნირო ცხრილი ახლა შემდეგნაირად გამოიყურება: ფიშერს აქვს 17,5 ქულა. ჰიუბნერს — 14,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, გელერს — 14,5, ლარსენს — 14, ტაიმანოვსა და ულმანს — 13-13, გლიგორიჩს, სმისლოვს, პოლუგაევსკის — 12,5-12,5 ქულა, პორტიშს — 12 ქულა და 2 გადადებული პარტია, მეკინგსა და პანოს — 11,5-11,5 ქულა და თითო გადადებული პარტია, ჰორტს — 11 ქულა, ივკოვს — 10 ქულა, სათლზს — 9,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, მინიჩს — 9,5 ქულა, მატულოვიჩსა და რეშევსკის 9-9 ქულა, ადისონს — 8,5 ქულა, უიტუმენს — 8,5 ქულა, ნარანიას — 8 ქულა და 1 გადადებული პარტია, ფილიპს — 8 ქულა, რუბინეტის — 6 ქულა, ხიმენესს — 4 ქულა და 1 გადადებული პარტია.

პარასკევს გათამაშდა პორტიშ-ნარანიას, მეკინგ-ჰიუბნერის, პანო-სათლზისა და პორტიშ-ხიმენესის გადადებული პარტიები. შაბათს გაიმართება დასკვნითი ტური.

მაშ ასე, ფინიში მოახლოვდა, მაგრამ ყველაფერი არის თუ არა ცხადი? ჯერ ერთი, უკვე გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ რობერტ ფიშერმა, რომელმაც გადაწყვიტა კვლავ ჩაებას საჭადრაკო გვირგვინისათვის ბრძოლაში, უკვე გაინაღდა პირველი ადგილი.

მეორე, გამოირკვა კიდევ ორი მონაწილე, რომლებიც განაგრძობენ ბრძოლას მსოფლიო პირველობის შეჯიბრების შემდგომ ეტაპზე — პრეტენდენტთა ტურნირში. გარდა ფიშერისა, ესენი არიან — საბჭოთა გროსმაისტერი ეფიმ გელერი და ახალგაზრდა ოსტატი რობერტ ჰიუბნერი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა). პრეტენდენტთა ტურნირის სამი დანარჩენი საგზურისათვის ბრძოლას განაგრძობს ცხრა მოჭადრაკე, მათ შორის არის კიდევ სამი ჩვენი გროსმაისტერი — მარკ ტაიმანოვი, ვასილ სმისლოვი და ლევ პოლუგაევსკი.

მესამე, უკვე ცხადია, რომ მონაწილეთა ზუსტად ნახევარმა — ოცდათოთხიდან თორმეტმა — დაკარგა ყოველგვარი შანსი განაგრძოს ბრძოლა საჭადრაკო გვირგვინისათვის. მათ შორის ვხვდავთ ისეთ ცნობილ გროსმაისტერებს, როგორიც არიან ვლასტიმილ ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), რომელსაც წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ, ბორისლავ ივკოვი და მილან მატულოვიჩი (ორივე იუგოსლავია), სემუელ რეშევსკი (ამერიკის შეერთებული შტატები).

აი, რომელი პარტიები გაიმართება უკანასკნელ ტურში: ფიშერი-პანო, მინიჩი-გელერი, ტაიმანოვი-მატულოვიჩი, ჰიუბნერ-სმისლოვი, ხიმენეს-პოლუგაევსკი, რუბინეტი-ლარსენი, ულმან-ნარანია, ფილიპ-გლიგორიჩი, უიტუმენ-პორტიში, ივკოვ-მეკინგი, სათლზ-რეშევსკი და ჰორტ-ადისონი.

(საქპრესი).

**საინტერესო** აღმოჩნდა ჭაბუკი ბრაზილიელის ენრიკე-კოსტა მეკინგისა და დანიელი გროსმაისტერის ბენტ ლარსენის პარტია მე-20 ტურში. მკითხველებს ვთავაზობთ ამ პარტიის ჩანაწერს საერთაშორისო გროსმაისტერ ალ. კოტოვის კომენტარებით.

### მეკინგი-ლარსენი
#### ნიმცოვიჩის დაცვა

1. d4 მf6; 2. c4 e6; 3. მc3 კb4; 4. e3 0—0; 5. კd3 c5; 6. მf3 d5; 7. 0—0 მc6 (საყურადღებოა, რომ ლარსენი თეთრებით ცდილობს თავიდან აიცილოს თეორიული ვარიანტები, ამ პარტიაში კი იგი სიამოვნებით მიდის ცნობილი პოზიციისაკენ. ალბათ, მან რაღაც თავისებურება შენიშნა თავისი ბრაზილიელი მოწინააღმდეგის თამაშში და გადაწყვიტა ახლა მისი გამოყენება). 8. a3 cd; 9. ab (დიდი ხანია ცნობილია, რომ ამ გაგრძელებას მივყავართ თანაბარ პოზიციამდე. უკეთესი იყო 9. ed) d:c3; 10. bc dc; 11. კ:c4 ლc7; 12. კe2 b6 (შავებმა მშვენივრად განავითარეს თავიანთი ფიგურები და მზად არიან შემხვედრი თამაშისათვის როგორც ცენტრში, ისე მეფის ფრთაზე); 13. კb2 კb7; 14. ლb3 a5; 15. ლc4 (მეკინგი ცდილობს იერიში შექმნას მეფის ფრთაზე, მაგრამ არაფერი გამოუდის) ლb8; 16 ლh4 მe5; 17. მ:e5 ლ:e5; 18. ba ba; 19. ეf-b1 კe4; 20. ეd1 ეf-h8; 21. ეd2 კd5 (საინტერესოა თვალი გადავადევნოთ, როგორ მოხერხებულად მოუყრის თავს შემდგომში ლარსენი თავის ფიგურებს მეფის ფრთაზე გადამწყვეტი იერიშისათვის. ჭადრაკის მცოდნეები კარგა ხანია ამტკიცებენ, რომ დანიელი გროსმაისტერი ძლიერად ატარებს ფინიშს ყოველ შეჯიბრებაში. ეს პარტია ერთხელ კიდევ ამტკიცებს ამ აზრს); 22. ლd4 ლg5; 23. კf1 მe4 (!) (e4, d6, f5, h4 და f3 უჯრედებზე მხედრის ორიგინალური მანევრის დაწყება ლარსენს საშუალებას აძლევს ამ საკავალერიო თავდასხმით მოიპოვოს გადამწყვეტი უპირატესობა); 24. ეc2 მd6; 25. c4 მf5; 26. ლd3 კc6; 27. კe5 ეd8; 28. ლc3 a4; 29. c5 h5 (!) (იერიშში ერთვება აგრეთვე განაპირა შავი პაიკი: თეთრების მდგომარეობას უკვე საფრთხე ემუქრება); 30. ეd2 ე:d2; 31. ლ:d2 მh4; 32. კg3 ლf6; 33. ლd1 მf3+ (მხედრის ეფექტური შეწირვა, რომლის აღება თეთრებს არ შეუძლიათ. 34. gf-ს მოჰყვება 34. ... ეd8; 35. ლe2 ეd2 (!); 36. ლ:d2 ლ:f3 გარდუვალი შამათით); 34. მფh1 h4; 35. კf4 ეd8; 36. კd6 h3 (თუ ახლა თეთრები აიღებენ h3 პაიკს, მაშინ 37. ... ე:d6 (!) 38. cd მe1+ 39. მფg1 კf3 (!) შავები იგებენ). 37. ე:a4 კ:a4; 38. ლ:a4 მd2; 39. მფg1 ლg6; 40. ლd1 მ:f1; 41. ლ:f1 ეd7; 42. f3 ეb7; 43. e4 (თეთრების დაუყოვნებლივ დაღუპვას იწვევს, თუმცა წინააღმდეგობის გაწევას უკვე აზრიც აღარ ჰქონდა. დანიელმა მოჭადრაკემ მშვენივრად წარმართა მთელი პარტია) ეb1.

## რამდენიმე სტრიქონით

● **მინსკში** სტარტი აიღო საერთაშორისო ტურნირმა კრივში. მონაწილეობენ ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, იტალიის, რუმინეთის, კუბის, იუგოსლავიისა და სსრ კავშირის რინგის ოსტატები. გამარჯვებულები გამოვლინდებიან კვირას.

● **მოსკოვში** გრძელდება ხანერთაშორისო ტრადიციული ტურნირი ჰოკეიში გაზეთ „იზვესტიის“ პრიზზე. ჩეხოსლოვაკიელებთან დამარცხების (1:3) შემდეგ სსრ კავშირის ნაკრებს შეხვედრა ჰქონდა პოლონეთის გუნდთან და გაიმარჯვა 7:1, ადრე კი პოლონელებმა მოუგეს შვედებს 4:3.

● **ადის-აბება.** ვოროშილოვგრადის „ზარიამ“ ამხანაგურ მატჩში დაამარცხა ეთიოპიის დედაქალაქის ნაკრები გუნდი — 1:0.

## ფეხბურთი ინგლისში

☐ **როგორც** ინგლისელი მიმომხილველი ლ. გებეტი იუწყება, ა. რამსეიმ დაიწყო ნაკრების თანდათანობით გაახალგაზრდავება. მასში აღარ დარჩა არცერთი ფეხბურთელი, რომლის ასაკი 30 წელს აღემატებოდეს. თუ მსოფლიო ჩემპიონატის დროს ინგლისის ნაკრების საშუალო „ასაკი“ 27 წელი იყო, ახლა იგი მთელი სამი წლით გაახალგაზრდავდა. სწორედ ხნოვანების გამო დატოვებინეს გუნდი ისეთ სახელოვან ოსტატებს, როგორიც ბენქსი და რ. ჩარლტონი არიან.

აი რა შემადგენლობით გადის ახლა წრთონაზე ინგლისის ნაკრები: მეკარეები პ. შილტონი („ლეისტერ სიტი“) და რ. კლემენსი („ლივერპული“), დაცვა — ტ. კუპერი, პ. რენი (ორივე „ლიდს იუნაიტედიდან“), ე. ჰიუზი („ლივერპული“), თ. რაიტი („ევერტონი“), ნახევარმცველები ჯ. ჰოლინსი („ჩელსი“), ნ. ჰანტერი („ლიდს იუნაიტედი“), რ. მაკფარლანდი („დერბი კაუნტი“), რ. მური („ვესტ ჰემ იუნაიტედი“), ა. მალერი („ტოტენჰემ ჰოტსპური“), დ. სადლერი („მანჩესტერ იუნაიტედი“), თავდასხმა — ა. ბოლი, რ. როილი (ორივე „ევერტონიდან“), კ. ბელი, ფ. ლი („მანჩესტერ სიტი“), ჯ. ჰერსტი, მ. პიტერსი (ორივე „ვესტ ჰემ იუნაიტედიდან“), ა. კლარკი („ლიდს იუნაიტედი“), ბ. კიდი („მანჩესტერ იუნაიტედი“), პ. ოსტგუდი („ჩელსი“) და პ. ტომპსონი („ლივერპული“).





სურათებზე: კადრები ფილმიდან „სიმღერა მანშუკზე“.

# შ ე ხ ვ ე დ რ ა მ ო ძ მ ე ყ ა ზ ა ხ ე თ თ ა ნ

## თბილისში გაიხსნა ყაზახური ფილმების ფესტივალი

**გუშინ** თბილისში გაიხსნა ყაზახური ფილმების ფესტივალი, რომელიც ეძღვნება ყაზახეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და ყაზახეთის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს.

ამასთან დაკავშირებით ჩვენს დედაქალაქში ჩამოვიდა მოძმე რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა დელეგაცია.

კინოთეატრ „ამირანში“ გუშინ მოეწყო ყაზახ კინემატოგრაფისტებთან შეხვედრა, რომელმაც გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. შემდეგ ნაჩვენები იქნა ყაზახური ორსერიიანი ფილმი „ატამანის აღსასრული“. მაყურებლებს საშუალება ექნებათ კინოთეატრ „ამირანშივე“ ნახონ ფილმი „სიმღერა მანშუკზე“ (12, 13, 14 დეკემბერს), ხოლო შემდეგ ფესტივალის დღეებში კინოთეატრ „ნაკადულში“ ნაჩვენები იქნება კინოსურათი „წითელი ქვების სადარაჯოზე“ (12-17 დეკემბერი). მაყურებელი უთუოდ ინტერესით გაეცნობა ყაზახი მეგობრების ახალ ქრონიკალურ-დოკუმენტურ ფილმებს: „ყ ა ზ ა ხ ე თ ი, ჩემი მიწა“, „ალმა-ატა“, „ვარდისფერი ოცნება“, „მეტალის ამაღლებული ფერი“, „ასეთი მოკლე ცხოვრება“, „ალია“ და სხვ. 26 კომისრის სახელობის კინოთეატრში თბილისელებს საშუალება ექნებათ კვლავ ნახონ ისეთი პოპულარული ყაზახური ფილმები, როგორიც არის „ამანგელდი“, „ბოტაგოზი“, „სიმღერის ფრთები“, „თქმულება დედაზე“ და სხვ.

ყაზახური ფილმების ფესტივალი ჩვენს დედაქალაქში 17 დეკემბრამდე გასტანს.

# ზამთრის სუსხი

**დეკემბერმა** ზამთრის სუსხი გვაგრძნობინა. თვის დასაწყისშივე ცა შავი ღრუბლებით მოიქუფრა, დაიწყო წვიმა, 7 დეკემბერს თოვლის ფიფქები გამოჩნდა ცაგერში, ონში, ხულოში, ახალქალაქში, 10 დეკემბერს კი უკვე მთელ საქართველოში ბარდნიდა.

თეთრმა საბურველმა მოხატა მთების ფერდობები და ველები. თოვლის სისქემ მესტიაში მიაღწია 34 სანტიმეტრს, ბაკურიანში — 25, თიანეთში 17, ახალქალაქში — 11, ცაგერში — 7, ცხაკაიაში, გეგეჭკორში — 5, კახეთის რაიონებშიც თოვდა, მაგრამ თოვლის სიმაღლე 1-2 სანტიმეტრს არ აღემატებოდა.

ტემპერატურამაც ღამით ყველგან დაიწია. დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ რაიონებში ნულ გრადუსამდე დავიდა, დანარჩენ ადგილებში კი ღამით იყო ერთი-სამი გრადუსი სითბო, დღისით პლუს 8-7 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში ღამით ყველგან ყინავდა, გარდა თბილისისა (აქ აღინიშნა 1-2 გრადუსი სითბო). დღისით კი ბარში იყო 2-4 გრადუსი სითბო. მთებში ღამით 5-10 გრადუსი ყინვა, დღისით მინუს 2-4 გრადუსი.

როგორც ჩვენმა კორესპონდენტმა, თბილისის ამინდის ბიუროს უფროსმა ინჟინერ-სინოპტიკოსმა ნ. ძამაშვილმა გვაცნობა, ამინდის ასეთი პროცესი განპირობებულია ევრეთწოდებული ტალღური აღრევებით, რომლის გავლენაშიც იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორია.

ამჟამად დასავლეთ ევროპაში ბატონობს ანტიციკლონი, რომლის მძლავრის ცივი მასები საქართველოში გადმოდის. ჩვენი ქვეყნის სამხრეთი რაიონები კი მოქცეულია ციკლონურ არეში.

12 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ნალექი, მთაში თოვა, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში 2-6 გრადუსი სითბო, მთაში 1-4 გრადუსი ყინვა.

აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში მოსალოდნელია ნალექი, მთაში — თოვა, ტემპერატურა ბარში 2-7 გრადუსი სითბო, მთაში — ნული-4 გრადუსი ყინვა. მტკვრის ხეობაში იქროლებს ძლიერი ქარი.

თბილისში უნალექო ამინდი, დასავლეთის ზომიერი ქარი, 5-7 გრადუსი სითბო.

ამინდი

## ტელევიზია

### 12 დეკემბერი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — ბავშვებისათვის „რატომ, საიდან, რისთვის?“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — კინონარკვევი, 12.30 — გადაცემა ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ“ — ონის რაიონი. განმეორებით, 13.30 — დოკუმენტური ფილმი — „ტაიფუნების ქვეყანაში“ ქართულ ენაზე, 14.30 — კინონარკვევი, 15.10 — კინონარკვევი, 15.30 — ცენტრალური ფერადი ტელევიზია — ცხოველთა სამყაროში, 16.45 — კინონარკვევი, 17.10 — ბავშვებისათვის — სატელევიზიო ჟურნალი „კოცონი“, 17.50 — ახალი ამბები, 17.55 — გადაცემა ციკლიდან „დიადი წლების ქრონიკა“ — 1940 წელი, 18.15 — გადაცემა — „დოკუმენტური კინო ბრალს სდებს“, 18.55 — კინონარკვევი, 19.10 — გადაცემა ციკლიდან — „საინტერესო ვიცოდეთ“, 19.30—გადაცემა „საიუბილეო შეჯიბრების ავანგარდში“, 19.50—გადაცემა ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ“ — ჩხოროწყუს რაიონი, 20.50 — „მოამბე“ საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — „სტუდიაში პოეტი აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე“, 21.45 — გერმანული მხატვრული ფილმი „ჩრდილები ნოტრ-დამზე“ (მეორე სერია), ქართულ ენაზე.

### 13 დეკემბერი

10.15 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთათვის „მალვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ჩექმებიანი კატის ახალი თავგადასავალი“, 12.30 — ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ“ — ცხინვალის რაიონი (განმეორებით). 13.20 — კინონარკვევი, 13.40 — ახალგაზრდობისათვის — „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“ (განმეორებით) 15.00 — „სოფლის მშრომელები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.25 — „მუსიკალური შეხვედრები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.50 — პოლონური სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ეჭვიანობა“ (ქართულ ენაზე), 17.10 — კინონარკვევი, 17.30 — ცენტრალური ფერადი ტელევიზია. „კინომოგზაურთა კლუბი“, 18.30—საუბარი საერთაშორისო თემაზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00—„მოამბე“—საინფორმაციო პროგრამა, 19.10 — „მუსიკალური ფოსტა“ — კონცერტი მაყურებელთა თხოვნით, 19.55 — „დოსტოევსკის გმირები ეკრანზე“, 20.40 — ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ“ — გურჯაანის რაიონი, 21.30 — უნგრული მხატვრული ფილმი „ბანქოს სახლი“, 22.55 — „მუსიკალური სუვენირები“ — საესტრადო გადაცემა.

# რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## თეატრები

### 12 დეკემბერი

**ზ. ფალიაშვილის** სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — პიკის ქალი; **რუსთაველის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ბებერი მეზურნეები; **მარჯანიშვილის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კაცია ადამიანი?!; **გრიბოედოვის** სახელობის — ერთადერთი მოწმე; **ვასო აბაშიძის** სახელობის მუსიკალური კომედიის — სიმღერა თბილისზე; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — დონ სეზარ დე ბაზანი (№ 11 აბონ. 5 ს. და 30 წ.); **ფილარმონიის საზამთრო** — მინიატიურების თეატრი ენკი-ბენკი.

რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი.**


ქომუნისტი

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხამდივნისი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60443 უე 10636 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.